№ 5—6 (54) 31 მარტი 1931. წელიწადი მეორე ფასი 15 კ.

Г.П.Б-на обяз. экз.
Лит-ра 1931 год
№ 230

# დროშა



საგაზაფხულო თესვისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



პოლიტიკური ტუსაღი ივან ტოდოროვი ავად გახდა სლივენის ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ 40 გრად. სიცხე ჰქონდა, ბორკილები მაინც არ აჰყარეს. სურათზე —ამხ. ივან ტოდოროვი ბორკილებში.



ნიუ - ჯერსის (ამერიკა) ქუჩებში მოხდა უმუშევართა დი- დი დემონსტრაცია. სურათზე —პოლიციას მიჰყავს შეპყრობილი და ნაცემი უმუშევარი დემონსტრაციაში მონაწილე. დააპატიმრეს მრავალი დემონსტრანტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16 შესავალი წულუკიძის ქუჩიდან || მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე. რედაქცია დაწუნებულ მასალას არ აბრუნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაუმარჯოს აჭარისტანის გასაბჭოების ათი წლის თავს













მარცხნივ: ზევით—აჭარელი მეთევზეები, ქვევით—გემი „ლენინ", შუაში—საბჭოთა ყრილობის აჭარელი დელეგატები; მარჯვნივ: ზევით—ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა, ქვევით—ნავთსაყუდის გაფართოება.

## ბრძოლა ბოლშევიკურ თესვისათვის

მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის [illegible] და [illegible] მზადება სწარმოებს [illegible] მოსახლეობის კოლექტივიზაციის არანაკლებ 30 პროცენტით, ნათესი ფართობის გადიდება 115.890 ჰექტარით, ტექნიკურ კულტურათა ნათესის გადიდება 127,572 ჰექტარით, მოსავლიანობის აწევა 9 პროცენტით და მეცხოველეობის პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო ზომების მიღება — აი მოკლედ ბოლშევიკური გაზაფხულის ბუმბერაზიული პროგრამა, რომელიც უნდა შესრულდეს მთლიანად და გადაჭარბებით.

საქართველოს სინამდვილიდან თანდათან იდევნება ნაკლებად სარგებლიანი კულტურები. სიმინდი ადგილს უთმობს ჩაის, ბამბას, სოიას, კენაფს, რამს, არახისს, ქარხალს, თამბაქოს და სხვა ძვირფას კულტურებს.

საგაზაფხულო თესვის მზადებასთან ერთად მტკიცდება და ფართოვდება საკოლმეურნეო მშენებლობა: მოსახლეობის კოლექტივიზაცია მიმდინარე წლის იანვარს თუ შეადგენდა 20,8 პროცენტს, ამჟამად კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მთელი მოსახლეობის 27,2 პროცენტი. მარტის პირველ დეკადაში საკოლმეურნეო მოძრაობა ისე გაძლიერდა, რომ ყოველ ეჭვს გარეშეა კოლექტივიზაციის დარგში ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

განიავდა, მტვრად იქცა მემარჯვენე პანიკიორების, კულაკების, მენშევიკების და მშრომელთა ყველა მტრების „მტკიცება" იმის შესახებ, რომ „კოლექტივიზაცია ჩაფლავდება". ღარიბი, საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების ახალი ათასები და ათიათასები თვით იღებენ საკოლმეურნეო მშენებლობის ინიციატივას, ერთიანდებიან კოლმეურნეობებში და შემჭიდროებული რიგებით ამსხვრევენ კულაკების წინააღმდეგობას.

კულაკობა ჯერ კიდევ 1930 წლის გაზაფხულზე იკვეხოდა, რომ „კოლექტივში გაერთიანდით, მაგ. ვერ დასთესავთ და შიმშილით ამოწყდებით". მიუხედავად კულაკების „წინასწარმეტყველებისა", კოლმეურნეობე-

ბმა თესვა ბრწყინვალეთ ჩაატარეს. შემდეგ კულაკებმა მორთეს ყვირილი იმაზე, რომ „დასთესეთ, მაგრამ თქვენს მოსავალს მთავრობა წაიღებს (!) და პირში ჩალაგამოვლებული დარჩებითო". არც ეს გაუმართლდათ სოფლის წურბელებს: კოლმეურნეობებმა მოსავლის აკრეფა წარმატებით ჩაატარეს და მოსავლიც თავიანთი ნებასურვილის თანახმად გაიყვეს.

ახლა ყველა ფრონტებზე დამარცხებული, განიარაღებული და დასალუპავად განწირული კულაკთა კლასი ცდილობს უკანასკნელი ძალები მოიკრიფოს. ის მიმართავს მანევრებს, — ჯერ იწყებს ძალადობას, დარბევას, მიმართავს ცეცხლის წაკიდებას, ტერორს და მკვლელობას. ამ გზაზე კულაკობას პროლეტარიატის დიქტატურის და რევოლიუციონური კანონიერების მთელი სისასტიკე და რისხვა ატყდება თავზე. ტერორის, ძალადობის გზაზე დამდგარ კულაკობას შეუბრალებლად ებრძვიან ღარიბ, საშუალო—გლეხთა და კოლმეურნეთა მასები. კულაკობა ფრონტს იცვლის—ის მიმართავს მლიქვნელობას, იწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ „კოლექტივი კარგია" და ის ყოველთვის იყო კოლმეურნეობის მომხრე(!) კულაკს სურს შეძვრეს კოლმეურნეობაში, ციხე შიგნიდან გატეხოს და არევ-დარევა შეიტანოს საკოლმეურნეო მოძრაობაში.

მაგრამ კულაკობა ამ მანევრებითაც უკვე ველარას ახერხებს; ღარიბ, საშუალო გლეხები და კოლმეურნენი კოლექტივიზაციისათვის და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში ისე გააქტივდენ, რომ მას შეცდომაში ველარ შეიყვანს კულაკი და მისი აგენტი.

მთლიანი კოლექტივიზაცია იმარჯვებს. „კულაკობა განწირულია და ის აღმოფხვრილი იქნება. რჩება მხოლოდ ერთი გზა, კოლმეურნეობის გზა. ეს გზა უკვე აღარ არის უცნობი, გაურკვეველი. ის მრავალმხრივაა შემოწმებული თვით ღარიბ, საშუალო გლეხთა მილიონების მიერ" (სტალინი).

ბოლშევიკური გაზაფხულის მოახლოვებამ შეატორტმანა და გამოაცოცხლა დასაღუპავად განწირული კულაკთა კლასი. მაგრამ ეს მისი სიკვდილის მოახლოვების ნიშანია. საშიშარ სტადიაში მყოფი ქლექიანიც გრძნობს ერთგვარ გახალისებას და იმედებს გაზაფხულის მოახლოვების გამო; ამავე დროს სიკვდილის ცელი თანდათან უახლოვდება მის სარეცელს და მოულოდნელად ამსხვრევს ისედაც განადგურებულ სიცოცხლის უკანასკნელ ბჟუტებს. კულაკების ბედიც, რომელიც გაქრება, როგორც კლასს სპობს და ანადგურებს სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი გაქანება.

საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელი მუშაობა მიიწურა. კიდევ რამოდენიმე დღე და კოლმეურნეთა ბრიგადები, ღარიბი, საშუალო გლეხები ახალ მანქანებით, ტრაქტორებით შეიარაღებულები გავლენ მინდვრად მუშაობისათვის. ბოლშევიკური გაზაფხულის ფრონტი ფართოდ იშლება. იწყება ბრძოლა იმ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომელიც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში მოცემულია პარტიის და ხელისუფლების უზენაეს ორგანოების მიერ.

კოლმეურნეების, სასოფლო მეურნეობის მუშების, ღარიბ, საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების მილიონიანი არმია ბოლშევიკური ტემპებით იწყებს საგაზაფხულო კამპანიისათვის ბრძოლას. ეჭვი არაა ეს ბრძოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, დამთავრებული იქნება ახალი გამარჯვებებით.

ა. ჭოჭუა



შირაქის საბჭ. მეურნ. მთესველი კოლონა, რომელმაც საშემოდგ. თესვის გეგმა შეასრულა 125%-ით.



საგაზაფხულო თესვის კამპანია სოფლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარხნის შესავალთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდუსტრია დიდი სიტყვაა საქართველოსათვის. მაგრამ ყველაფერი ერთგვარი მაშტაბით უნდა იზომებოდეს, და 26 კომუნარის სახელობის ქარხანასაც ჩვენში ნამდვილი ინდუსტრიის სახე და შინაარსი აქვს.

ასეთია პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ამ ქარხნის ზერელე, ნაუცბათევი თვალის მოვლებით, ასე ვსთქვათ ქარხნის შესავალთან.

ჩვენ ვიყავით სულ ოთხი ქართველი მწერალი, რომლებიც თანახმად მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის მოწოდებისა ქარხანას პირველად ვესტუმრეთ წინასწარ გაუცნობლად და ჩვენი მომავალი კულტურული მუშაობის გეგმის შესამუშავებლად ქარხნის კომიტეტთან ერთად.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ეს პირველი მოსვლა წინასწარი ზოგადი ხასიათის ცნობების მიღებით ამოიწურა, ქარხანამ მაინც უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა თვითეულ ჩვენგანზე.

უწინარეს ყოვლისა ქარხნის ისტორია.

ქარხნის წარმოება და ზრდა — ეს თვითონ რევოლიუციის ისტორიაა ჩვენში. იგი ჩვენ გვიამბო ამავე ქარხნის ახალგაზრდა მუშა-მეყალიბემ, ამხ. გიორგაძემ, რომელიც ამჟამად ქარხკომის პასუხისმგებელი მდივანია.

ქარხანას მეფის ჯარის ყოფილ ყაზარმებში აქვს ფეხი ადგმული. მის პირველ ჩანასახს საავტომობილო სახელოსნო ეწოდებოდა, რომელშიაც 60-მდე კაცი მუშაობდა.

რაკი ერთხელ ფეხი აიდგა, მისი გაქარხნებაც აუცილებელი შეიქნა. — სახელოსნომ მალე შეიცვალა სახელი და შინაარსიც: ავტომანქანების შეკეთებას თავი გაანება და ჩათახის მადნის დამუშავებას ხელი მიჰყო.

მუშათა რიცხვი 200-დე ავიდა.

ჩათახის მადანს მალე სხვა შავი ლითონი მიემატა.

მუშახელის რიცხვმა 400 მიაღწია.

გაჩაღდა სალითონო წარმოება და გაჩნდა ლითონტრესტიც.

დღეს რკინის კონსტრუქციის განყოფილებასთან ერთად, რომელიც დიდუბეში იმყოფება, ქარხანას 1.200 მუშა ჰყავს და მის ტერიტორიაზე გამართულია ათზე მეტი დღეში ორ წყებად მომუშავე საამქრო, რომელთა შორის უმთავრესია:

საზარატო,
საზეინკლო,
სასხმულო,
სამჭედლო,
სამონტაჟო,
საყალიბო.

რევოლიუცია მით არის საოცარი, რომ ძალიან დიდი ნაბიჯები აქვს. ჩვენი ქარხნის ზრდაც სწორედ რევოლიუციონური ნაბიჯებით სწარმოებდა. მაგრამ ღირსშესანიშნავი აქ ის არის, რომ ეს ზრდა ამავე დროს ორგანიულიც იყო, რადგანაც მას ჩვენი ქვეყნის ახალი სახალხო მეურნეობის განვითარების საჭიროება იწვევდა: — როგორც საქართველომ საკუთარი პოლიტიკური სახე მოიპოვა, ისე მისმა მეურნეობამ — საკუთარი გზა. და ამ გზაზე მას თავდაპირველადვე დასჭირდა რკინა, თუჯი, სპილენძი.

ამხ. გიორგაძის პატარა ოთახში ჩვენს გარდა ათზე მეტმა მუშამ თავი მოიყარა. ესენი იყვნენ საამქროების წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენს წინასწარ თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოვიდენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სანამ გიორგაძის ოთახში შევიდოდით, ჩვენ მოვასწარით ზოგი რამეების დათვალიერება.

იმავე ამხ. გიორგაძემ გვაუწყა ქარხნის ტეხნიკური და სამრეწველო ხასიათის მიღწევათა ამბავი.

ქარხანა ემსახურება ჩვენი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს, განსაკუთრებით კი:

მეაბრეშუმეობას,
ჩაის მეურნეობას,
მეღვინეობას,
შავ ქვას,
რკინის გზას,
და სხ.

მეაბრეშუმეობას იგი ძაფსართავ დაზგებსა და პარკის საშრობ ღუმელებს აწვდის.

ჩაის მეურნეობას — საჭრელს, დამახარისხებელს და სხ. საჭირო მანქანებს.

მეღვინეობას — წნეხებს.

შავი ქვის მრეწველობას — საჰაერო გზების მოწყობილობებს.

რკინის გზას — შვიდტონიან ონკანებს.

ამათში ქარხნის სიამაყეს ძაფსართავი დაზგა წარმოადგენს, რომელიც წინად ჩვენში იტალიის შემოჰქონდა. ამ დაზგას უკვე სამი წელიწადია რაც მთლიანად დაპყრობილი აქვს როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიისა და კავშირის ყველა იმ კუთხეების ბაზარი, სადაც კი მეაბრეშუმეობას მისდევენ. ამჟამად ქარხანას დაზგა სპარსეთშიაც გააქვს. იტალიურთან შედარებით ჩვენი დაზგა უფრო გამარტივებულია. ამავე ქარხნის მუშა ზეინკალი, კონსტრუქტორი და გამომგონებელი მაისურაძე დღესაც მის გაუმჯობესებაზე მუშაობს და, თუ მისმა უკანასკნელმა გამოგონებამ — დაზგის უმნიშვნელოვანესი ნაწილის გაავტომატებამ იმედი გაამართლა, ჩვენი ქარხნის დაზგა საზღვარგარეთულს დიდათ წინ გაუსწრებს.

ქარხანას ამ დაზგის დამზადების მონაპოლიური უფლება აქვს მინიჭებული მთელი კავშირის ფარგლებში.

ამხ. გიორგაძე ამ ამბავს ძალიან დინჯათ მოგვითხრობდა. ხოლო დრო გამოშვებით, სიტყვასა და სიტყვის შორის მალულად, მაგრამ დიდმნიშვნელოვნად ილიმებოდა. კაცი ადვილად შეამჩნევდა, რომ თავმომწონეობის აშკარა გამომჟღავნებას ერიდებოდა, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ იგი სრულიად არ გაემხილა ჩვენთვის, და მის სანიშნებლად ფარულად მეტყველ ღიმილს მიმართავდა.

— ჩვენი პროდუქცია 1925-26 წ. 1,5 მილ. მან. უდრიდა. ამავე ინდექსით შეფასებულმა 1929 წლის პროდუქციამ 4 მილ. მან. გადააჭარბა. ლითონტრესტის 1930—31 წ. საკონტროლო ციფრების მიხედვით ჩვენმა ქარხანამ ამ წელში 5 მილ. პროდუქცია უნდა მოგვცეს. ამ ციფრის მაგიერ ქარხანამ თავის მხრით 7,8 მილ. მან. წამოაყენა ხოლო თვითონ მუშების შემხვედრი საწარმოო საფინანსო გეგმა 8,4 მილ. მან. პროდუქციას ითვალისწინებს. ტემპი, რომლითაც ჩვენ ვმუშაობთ და დაკვეთათა რაოდენობა ქარხანას მუშების მიერ დადგენილ ციფრს გაამართლებინებს, თუ მასალა, ნედლეული არ შემოგვაკლდა. მასალით ქარხნის უზრუნველყოფა სათანადო მაღალ ორგანოებზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით კი მასალის დიდ ნაკლებობას განვიცდით. ათასეული ტონა თუჯის მაგიერ ათეულ ტონას ვღებულობთ. მაგრამ ჩვენ გვყავნან მუშების სპეციალური დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც მხოლოდ ამ საქმეზე მუშაობენ, და ეს დაბრკოლებაც დაძლეული იქნება.

აქაც რევოლიუციონურ ნაბიჯებთან გვაქვს საქმე.

ამხ. გიორგაძე და მისი ქარხანა ყოველდღიურად სასწაულს მოახდენდნენ, თუ არა ის დაბრკოლება, რომელსაც მასალის უქონლობა წარმოადგენს მათ გაცხარებულ მუშაობაში. მაგრამაც თუ არა ეს გარემოება, მსხვილ საბჭოთა მეურნეობათ და კოლმეურნეობებით რომ თავი დავანებოთ საქართველოში არ დარჩებოდა არც ერთი გლეხური მეურნეობა, რომელსაც თავისი ძაფსართავი დაზგა არ ჰქონოდა (— მეაბრეშუმეობას კი თითქოს მთელი საქართვ. მისდევს —), ან ღვინის სახდელი წნეხი (— მეღვინეობასაც ხომ თითქმის მთელი საქართველო მისდევს —), ან ჩაის მეურნეობის მთელი მოწყობილობა. არ დარჩებოდა არც ერთი რკ. გზის სადგურიც, რომელსაც თეთრი ონკანი გვერდით არ სდგომოდა, ალვის ხეზე უფრო ლამაზი, მატარებლის სადგომებს რომ ჩვეულებრივად ამშვენებს ჩვენში რკინის გზის მთელ გაყოლებაზე ვიდრე შავ ზღვამდის.

თვითონ ამხ. გიორგაძეც ერთერთი სახეა ჩვენში რევოლიუციის მიერ გა-

დადგმული დიდი ნაბიჯისა.—მის ახლო წარსულ და ამწყო მდგომარეობას შორის მდებარე მანძილი ჩვეულებრივი საუკუნის მთელი სავალი გზაა. მგონია, არც შევცდები. თუ ვიტყვი, რომ იგი უთუოდ იმ ახალი კაცის ნიშნებს უნდა ატარებდეს, რომელსაც ასე ეძებს და უყვარს თანამედროვე, ახალი მწერლობა. ამ მხრით ის ქარხანაზე არა ნაკლებ საინტერესო მასალას წარმოადგენს მიმდინარე ისტორიული პროცესის შესაცნობად.

ალბად, ჩვენ სხვა სახეებსაც მალე დავინახავთ ქარხნის შესწავლისა და მასთან დაახლოვების პროცესში.

ხოლო პირველი შთაბეჭდილებისათვის ესეც საკმარისად მიმაჩნია.

ერთმანეთის წინასწარი გაცნობითა და მცირეხნიანი მოთათბირებით დამთავრდა ჩვენი ეს სვლა 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ხელმძღვანელებსა და მუშების წარმომადგენელებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ქარხნის შესავალს ჩვენ არ გავცილებივართ.

სამუშაო გეგმის შეთანხმების შემდეგ ჩვენ გადავედით ახალგაზრდა ინჟენერის წულაიას განკარგულებაში, რომელსაც დაევალა ჩვენი დატარება ქარხნის საამქროებში.

მაგრამ საამქროების აგებულება, მუშაობა და მოწყობილობა უკვე ქარხნის შინაგანი ცხოვრებაა, იმდენად რთული და ახალი, რომ მის ასათვისებლად ერთი და ორი მისვლის შთაბეჭდილება არ კმარა.

ის კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა მისვლამაც კი ხიდი გადგა ჩვენსა და ქარხნის შორის. ისეთი გრძნობით ვბრუნდებოდით უკან, თითქოს საკმაოდ დავუახლოვდით ამ უცნობ დაწესებულებას. იქნება, ეს იმიტომ მოხდა ასე უცბად და ასე ადვილად, რომ ჩვენც, როგორც მწერლები, მისებრ „მწარმოებლები" ვართ, ცხოვრების ნედლი მასალების გადამმუშავებლები, და მისებრ არა ერთხელ განგვიცდია როგორც სიამე, ისე სიმწარე ამ მასალების ძიებასა და გადამუშავებაში.

და არ არის გასაკვირველი, როცა ქარხნის ეზოში, საამქროების აქა-იქ მიყრილ-მოყრილმა, მუშაობაში ნამყოფმა თუჯის თუ რკინის გამოუდეგარმა ნაწილებმა ჩვენ მაგიდაზე და მის უჯრებში დაგროვებული გადაყრილი ხელთნაწერების ნაგლეჯები მომაგონეს, რომლებიც არ გამოდგნენ.

ჭეშმარიტად, წარმოება ერთი ბუნებისა და ხასიათისაა ყველგან — დაზგასთან, თუ საწერ მაგიდასთან.

ეზოს შუაგულში ჩვენ ერთხელ კიდევ ჩავუარეთ ჰაერში ამაყად ატყორცნილ სარკინიგზო ონკანს.

— ერთიც კარგად შემომხედეთ: აბა. თქვენი ლექსი, და, აბა მეო.

მართლაც, ტაეპებში ჩამოსხმულ ლექსსა ჰგავდა.

მაგრამ ჩვენს შორის, სამწუხაროდ, პოეტი არ აღმოჩნდა. სულ პროზაიკოსები ვიყავით.

მგონი, ეს გარემოება არ მოეწონა ონკანს. იქნება, ჩვენს მოთხრობებთან გატოლება ჭკუაში არ დაუჯდა ქარხნის ნაგებ ამაყ პოემას...

ლ. ქიაჩელი

---

# გაზაფხულის თესვა

ცა ლაჟვარდია, დღეები თბილი,
სოფელს დახარის მზის ელვარება...
და გაზაფხულის სურნელი ტკბილი
ედება ქოხებს თეთრი ღვარებათ!
სოფლურ ძველ ყოფას ძლიერი ქარი
შეუჩერებლივ ანგრევს და არღვევს,
გამოდის გლეხი კუნთებ მაგარი,
ახალ ცხოვრების მთავარი ძარღვი.
— შენი სიცოცხლე რა იყო წინად,
მწველ მათრახებით გიზელდნენ გვერდებს;
გზებზე გხვდებოდა თოვლი და წვიმა,
თოვლი და წვიმა სპობდა იმედებს!
და თვითეული დღე სხივოსანი
შენში ბადებდა სურვილებს ულევს
იქ შენი შრომა პატიოსანი
ასაზრდოებდა მტრებს და ორგულებს.
არვის მიაჩნდი შენ შრომის გმირად,
არც დაფასება გქონდა კაცური;
მეძებარ ძაღლშიც გაგცვლიდენ ხშირად
და შენი ყოფა იყო ძაღლური.
დღეს სულ სხვა არის... დროშების წყება,
შვენის გარემოს, სულშია დარი;
საგაზაფხულო თესვა იწყება,
გამოდის გლეხი კუნთებმაგარი...
დღეს შენ გიცინის ლურჯი თვალები,
ახალი ყოფა იგრძენი განა;
აქ როგორც გლეხის მორცხვი ქალები,
აყვავებული ტყემლები დგანან.
ტყემლების ძირში სოფლის ბავშები
ძია ლენინზე ლექსებს მღერიან,
შენ სიხარულის ზღვაში ეშვები,
გრძნობ რომ სოფელი ბედნიერია...
გადმოიხედავს მზე ცის თაღიდან,
აშრიალდება ტყე ნაწვიმარი,
ირგვლივ გარემო ელავს ბაღივით;
დგება საღამო... აღარ ქრის ქარი...
და განახლებულ ბედში მყოფელი
შრომობ და შრომა გახარებს შენა,
წარსულთან მოკვდა ძველი სოფელი,
ხომ გაიგონე ტრაქტორის ქშენა?!
ახლა დიდია შენი მხნეობა
და მიღწევები ყოველდღიური,
ძირს კულაკური მეურნეობა
ჩვენ უნდა შევქმნათ კოლექტიური!!
სპეტაკ შრომაში გახვიე გული,
ვინ უნდა იყოს შენი მეტოქე
და ასე უსწრებს გრანდიოზული
ჩვენი ეპოქა ყველა ეპოქებს.
ჩვენ შევებრძოლოთ საუკუნოებს,
წარსული აღარ განმეორდება,
დავარტყათ მიწას, ტრაქტორის გუგუნს
მოაქვს ახალი დრო და ცხოვრება!
ჩამოდგა შრომის დღეების რიგი
და ორკეცდება იმედი წინსვლის;
დავარტყათ მიწას, დავლადროთ იგი
რომ ვასაზრდოვოთ ძარღვი და სისხლი...

დ. კობიძე.

# ბოლშევიკური თესვა

სოფელი დგება სულ სხვა იერით,
აქ იდილია წარსულს ჩაბარდა,
ჩაბარდა როგორც გამომტირალი
კაცი ძველ სოფლის —დროის ჩაფართა.
მტერი ხომ ბოლმით შებორკილია:
გულებით კლდეს რომ გავტოლებივართ!
სოფლად დღეს ტემპებს რომ გაჰკივიან,
ეს კომუნარი ტრაქტორებია!...
მინდვრათ მოთარეში
ტრაქტორების გუგუნს
გადაუტორავთ სივრცე,
ჩვენც ვუდგევართ გვერდში,
გატიალდა მტვრად
ზრახვა მტრების — მტრული,
რადგან მუდამ ჯანი
და ხალისი გვერჩის!...
ვთესოთ სალი თესლი,
ვთესოთ არ გვაქვს მიჯნა
და ჩვენგანი ვინმე
ტემპებს თუ ჩამორჩი;
სიზარმაცის ქუსლმა
თუ კი დაგაბიჯა
ჩვენ გიწოდებთ მაშინ —
ლაჩარსა და მორჩილს.
გადაიბურლა ხოდაბუნები,
გადაიბურდა ულრანები და
დღეს სინოყივრით უხვი ბუნება,
დღეს სოფლის გული განახლებიდან!..
ზოგნი ჩვენს მზიან დღეზე ტირიან
რომ ბოლშევიკურ თესვას ვშლით ფართოდ.
ტემპში ვინც არ სდგას:—დეზერტირია,
დეზერტირია და სახიფათო!!.
სად მიწა იყო ხრიოკ-ბარდება—
იქ აწ ჯეჯილი აბიბინდება.
დაბრკოლებანიც დროს ჩაბარდება,
დროს გარდასულს და დროს ბინდებიანს!.
კოლმეურნენო! —ხართ ბერკეტები.
სოფლის, სად მტერი ფარულ აშარობს,
დღეს ბოლშევიკურ თავგამეტებით, —
ბოლშევიკური თესვა გავშალოთ!...

შ. შამფრიანი.

# უცნაური ფრინველი

ქარხკომის სხდომაზე გვაუწყეს.
ჰამქრელი საჯაროთ ჩიოდა:
ფრენაში ვერაფრით გაუსწრებს,
ლაჟვარდში ნაწრთობი ჩიორა.
რა „ფრენა" სცოდნია, რა „ფრენა"?
ოცნებით ცას თავი ახალა,
ვით ტყეში გუგულის ბრძანება.
ცებებში კიოდა ამხანად.
—სიჩქარე დროის და ქარხნების,
საამქრომ საამქროს გაასწრო,
მოსისხლე თქვენი არ ვხედები—
არას დროს, არას დროს, არას დროს.
სოფელში წუთით ვერ დარჩება,
ქალაქში იცხოვრებს ახლობლივ,
როდესაც გვჭირია გარჩევა —
მოისპოს ქალაქის და სოფლის.
მურით ვერ გამურავს ხელის გულს,
ოცნებები — [illegible]
როცა ხელს მაზუთით გაზინთულს
მუშები ნავთითაც იბანენ.
სოფლიდან ქალაქში მოსული,
სიძნელეს ლოდივით აწევება,
გლეხური განცდებით მოცული.
ამცირებს ხუთწლედის ნაწევარს.
ფაბრიკებს, დამკვრელი ვინც არი,
ცოლშვილსაც ამაგრებს ამ ხანად,
მფრინავი? იცანით, იცანით!
ლითონსაც მოპარავს ქარხანას.
ქარხკომის სხდომაზე გვაუწყეს,
ჰამქრელი საჯაროთ ჩიოდა:
ფრენაში თუ გინდ ვერ გაუსწრებს —
ლაჟვარდში ნაწრთობი ჩიორა.
ამქრელო! ალბად ეს გაფიქრებს,
იტყოდი მფრინავის მხილველი:
ვებრძოლოთ, ვებრძოლოთ, ვებრძოლოთ
ტროპიკულ სამხრეთის „ფრინველებს".

ტ. ბაბედავა.

# დამკვრელი მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ მწერლობაში შემოიჭრა გარდატეხის დღეები, ხდება ძირეული გარდაქმნა პროლეტარული მწერალთა ასოციაციის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში. ყურადღების ცენტრში, შემოქმედებითი მუშაობასთან ერთად, იდგება მასიური მუშაობის ფრონტზე, მწერლის საზოგადოებრივი ჰორიზონტის გაფართოება და გაღრმავება.

ტენდენცია საკუთარ თავის ნაჭუჭში ჩაკეტვის და კუსტარული ინდივიდუალისტურ მუშაობის, ახლა სათანადო წინააღმდეგობათა ხლართში მოექცა. აქ ხდება ჭიდილი, მწერლის ინდივიდუალისტურ და კოლექტიურ ფსიხიკის შორის. ამ წინააღმდეგობიდან რელიეფურად ტივტივდება და გამარჯვების გზაზე გამოდის მწერლის კოლექტიურ-საზოგადოებრივი სახე და ფორმა მუშაობის. თუმცა, ეს პროცესი, ჯერ, ისე დიდი სისწრაფით მიმდინარეობს.

და, აი, ამ გარდატეხის სტიმულის მიმცემი არის, დამკვრელი მუშების ლიტერატურაში გაწვევა. ეს ფაქტი უაღრესად ლიტერატურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობისაა.

მწერლობის საწარმოო თემებისა და მუშათა ცხოვრებისაკენ მობრუნების ზერკეტათ, უნდა გადაიქცეს დამკვრელი მუშების მწერლობაში გაწვევა. ამ მოვლენის, ძირითად პირობას წარმოადგენს, მწერლების მიერ წარმოებებში მასიურ მუშაობის გაშლა; კედლისა და ნაბეჭდ გაზეთებზე მუშაობა, და ამგვარად სისტემატიურ მუშაობის საფუძველზე, გაცნობა და შესწავლა იმ დამკვრელი მუშების, რომლებიც დაინტერესებული არიან ლიტერატურით. სწერენ: ლექსებს, მოთხრობებს, შენიშვნებს და იმავე დროს ითვლებიან წა[illegible]თესო მუშებათ.

აი, ასეთი დამკვრელი მუშები, აღრიცხული უნდა იქნეს მწერალთა ბრიგადების მიერ ფაბრიკა ქარხნებში.

მეორე პირობას, კი, წარმოადგენს ფაბრიკა-ქარხნებში სალიტერატურო წრეების ჩამოყალიბება და მათში ყველა იმ დამკვრელ მუშების გაერთიანება, რომლებიც სათანადო შემოქმედებითი უნარს ამჟღავნებენ და დაინტერესებული არიან ლიტერატურის სფეროში მუშაობით.

ლიტერატურული წრეში, უნდა მოხდეს მათი შემოქმედებითი პოტენციის გამომჟღავნება. ამ მოვლენას, თან უნდა ერთოდეს ლიტერატურულ საკითხების დამუშავება და შესწავლა, როდესაც წრეში, ჩვენი სისტემატიური ხელმძღვანელობით და დახმარებით გამოირკვევა, თვითეულის ლიტერატურული სახე, ამის შემდეგ ხდება მათი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში გადარიცხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერლების მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებში დამკვრელი მუშების ლიტერატურაში გასაწევად—აქვს ორი, მთავარი დანიშნულება, ერთი, ის, რომ ჩვენ დავუახლოვდეთ, შევისწავლოთ და გამოვიყვანოთ მწერლობაში დამკვრელი მუშები, ეს ახალი ნაკადი, რომელიც თან შემოიტანს ლიტერატურაში ახალ თემებს, ბოლშევიკური მსოფლმხედველობით გამსჭვალულს. მეორე, ის, რომ ამ პროცესში ხდება თვით მწერლის დაკავშირება წარმოებასთან, მუშის ყოფა-ცხოვრებასთან და ამ გვარად მოხდება მწერლის სამყაროს გარდაქმნა პროლეტარულ მსოფლმხედველობის მიმართებით.

ეს, ორი მოვლენა, დიალექტიურ მთლიანობაშია მოცემული, მწერლების ამ ხაზით მუშაობის დროს.

იქ, სადაც მწერალთა ბრიგადებმა გაშალეს მუშაობა, შესაძლებელი გახდა სალიტერატურო წრეების ჩამოყალიბება.

ამათ შორის, მნიშვნელოვანია სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხნის დამკვრელ მუშათა სალიტერატურო წრე (ტფილისი).

მწერალთა ბრიგადებისა და ასოციაციის ხელმძღვანელობით, ყველაზე კარგათ გაი-

## დაჰკარ ჩაქუჩი

დაჰკარ ჩაქუჩი,
დაჰკარ მტკიცედ,
რომ სალი რწმენა,
გული, მარჯვენა—
სიცოცხლეს მივცეთ.
რა უნდა ჩვენში დაღალვას ეხლა?
ან ვის მოსძულდა ჩვენს შორის შრომა?

ბრძოლა, ყიჟინა, დარტყმა და შეხლა,
რომ არ გაგვისწროს წუთითაც დრომა.
სმენა! თქვენ კი!
დღეებს რომ აცდენთ

და უსირცხვილოთ დაეხეტებით...
სმენა! უსაქმოდ დღეს ვინც დასტოვა
ქურა, ჩაქუჩი, დაზგა, ლვედები.
თქვენ არ მოგწყინდათ ქუჩის ხმაური,

სულთა მინდორი ჩუმი ბაღები?
შემოუერთდით კადრების წყებას,
გამშალეთ შრომის ბაირაღები!
სმენა! ხომ გესმით, როგორ ხმაურობს

მილიონ მასის გული და მკერდი?
დროა წინ გასწით!
დროა წინ გასწით!
თა ვინც გასწია მას შეუერდით!

**გრ. ტაბატაძე.**

## ცრუ დამკვრელს

ცრუ დამკვრელო!
შენის ქცევით,
ნამდვილ მუშის სახელს არცხვენ,
თუ კაცი ხარ გამოსწორდი
და გარღვევებს მარჯვეთ დასცხე.

—:—

დაუკვირდი, შენი მოძმე
როგორ იწმენდს ოფლს შრომისას
დაუკვირდი გამოსწორდი
გზა მონახე თანხმობისა.
მოგიწოდებ მე დამკვრელი,
რომ შავ დაფას ჩამოშორდე
მაგაალითი გახდე სხვისაც
და ოფლს ღვრიდე დაუშრომელს.

—:—

ხელს შეგიწყობთ დამკვრელები,
რომ გახადოთ შრომის ზვირთად
გასწორდები?
ჩვენმთან ერთად
შენც დამკვრელის დროშას ზიდავ.

—:—

ცრუ დამკვრელო!
შენის ქცევით
ნამდვილ მუშის სახელს არცხვენ
თუ კაცი ხარ გამოსწორდი
და გარღვევებს მარჯვეთ დასცხე.

**ივ. ბაზლაძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდიან მწერლობაში

შალა ამ ქარხანაში მუშაობა, მწერლები სისტემატიურად მუშაობდენ ცეხების კედლის გაზეთებზე და მუშკორების საშუალებით შესაძლებელი შეიქმნა წრის ჩამოყალიბება.

ორი თვეა რაც ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე. შიგ გაერთიანებულია დამკვრელი მუშები, რომლებიც იმავე დროს კედლის გაზეთებზე მუშაობენ და ხელმძღვანელობენ მას. სწერენ: ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, წერილებს და სხვ.

წრე აერთიანებს ორმოც მუშას. მეცადინეობა სწარმოებს თვეში სამჯერ. წევრებში დიდი ინტერესია ლიტერატურისადმი. ეწაფებიან ყოველ ახალს და ცდილობენ მის შესწავლას, რამდენადაც უნარი შესწევთ

სულ ორი თვეა, რაც მუშაობს ხსენებული წრე და უკვე შეიქმნა სათანადო აქტივი, როგორიც არიან: **გრ. ტაბატაძე, კონსტანტინე კაკახიძე, მეშვილდიშვილი, გ. ქებაძე, ივ. ბაზლაძე** (პოეტები) და **ვ. ნაზარბეკოვი, კობიაშვილი, გ. ნატროშვილი** (პროზაიკოსები) და სხვები.

ამ ამხანაგებში სჩანს: ინტერესი, ლტოლვა და მონდომება. ხარბათ ეწაფებიან ლიტერატურულ საკითხების დამუშავებას. მათ აქვთ სათანადო უნარი და ნიჭი წერის, და მასალების ათვისების, რასაც დაინახავს მკითხველი ამავე ნომერში მოთავსებულ მხატვრულ მასალებიდან.

ამ დამწყები მწერლების თემებია: წარმოება, ცეხი, სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, საწარმოო-საფინანსო გეგმები. ბრძოლა (ჰრუ დამკვრელობისა და წამგლეჯელების წინაალმდეგ და სხვა.

აი, ამ თემებზე სწერენ ისინი. იმარჯვებენ სათანადოთ შერჩეულ სიტყვებს და წარმოების ფონზე აღებულ მხატვრულ სახეებს. ამით ისინი ხელს უწყობენ წარმოებას და გამოდიან მწერლობაში.

წრეში იკითხება მოხსენებები ლიტერატურის საკითხებზე. ირჩევა მხატვრული მასალები. მუშაობა წარმოებს ლაბორატორიული წესით. წრის წევრების მხატვრული მასალების ნაწილი, იბეჭდება მუშა-მწერლების ჟურნალი „რიზანში", აგრეთვე ადგილობრივ ნაბეჭდ გაზეთ „ჩვენი საყვირ"-ში თავსდება მათი წერილები და ლექსები და სხვა. ამ დღეებში გამოვა ამ გაზეთში ლიტერატურული ფურცელი.

წრის წევრებიდან სერიოზულ მოთხრობებზე მუშაობენ **ივ. ნაზარბეკოვი** და **კობიაშვილი.**

წრე უკვე ამზადებს მასალებსა, მხატვრული კრებულის გამოსაცემად. კრებულს სცემს საქარ. პროფეს. კავშირები.

**სიმონ წვერავა.**

# გამარჯვებულნი წარმოებაში

დეკემბრის უკანასკნელი დღეც მიიწურა, ტფილისი და მისი მიდამოები თოვლით იყო დაფარული, პლეხანოვის კლუბში ამხ. სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხნის მუშები გაფაციცებით მიდიოდენ ხუთწლედის მესამე დამკვრელი წლის დამკვრელთა პირველ შეკრებაზე.

ჯერ საღამოს შვიდი საათი არ იყო. კლუბი ვერ იტევდა დამკვრელ მუშებს. კონფერენციას ჯამი უნდა გაეკეთებია ოცდა ცხრა—ოცდა ათი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის.

გაისმა კლუბის ფოეში ზარის და კლუბის მორიგე წევრის ხმა:

— აბა ამხანაგებო, დარბაზში შემოდით.

მუშები ხალისით შედიან. დარბაზი გაივსო დამკვრელი მუშებით.

შვიდი საათი შესრულდა.

ფარდა აიხადა .

სცენა საუცხოვოდაა მორთული, მაგიდები, დროშები წითლად ელვარებენ, მოსჩანს ლენინის, ჯაფარიძის და შაუმიანის ბიუსტები. მაგიდის წინ სდგას ქარხკომის თავმჯდომარე, საპრეზიდიუმო მაგიდის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა მაგიდები დაკავებული აქვთ ცენტრალურ გაზეთების რედაქციების, წარმომადგენლებს, კონფერენციის გახსნამდე შესავალ სიტყვას ამბობს ქარხნის პარტკოლექტივის პასუხისმგებელი მდივანი:

— გაუმარჯოს ბრძოლებში გამობრძმედილ საკავშირო კომპარტიის ბელადს ამხ. სტალინს. დაიქუხა ათასი დამკვრელი მუშის დაუცხრომელმა ტაშმა. სასული ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. შრომის გმირები დგებიან ფეხზე ქუდმოხდილი, სიხარულს და ენტუზიაზმს საზღვარი არა აქვს.

მალე არჩეულ იქნა საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმი, შემოსულ წინადადებით გაგზავნილ იქნა დელეგატები ტფილისის სხვადასხვა ქარხნების დამკვრელთა შეკრებაზე, მისალოცი დეპეშები იოვის სისწრაფით მოედო საბჭოთა კავშირს.

მისალოცი სიტყვებით გამოვიდენ ამიერ-კავკასიის წითელდროშოვან არმიის წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვები. ორატორთა სიტყვებს ფარავდა ინტერნაციონალიდა ტაში.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ამხ. სულავა, რომელიც თავის სიტყვას ასაბუთებდა ციფრებით, მან დაასკვნა:

— ამხანაგებო, არამც თუ შევასრულეთ საწარმოო-საფინანსო გეგმა, არამედ გადავაჭარბეთ კიდეც.

დარბაზში დამსწრე მუშებს პირზე ღიმილი გადაეკრათ, ტაშის ცემა დაუსრულებელია. პატაკით გამოვიდა თექვსმეტი საამქრო.

მეთორმეტე საათი დაიწყო საკითხებს სრულიად ამოწურვა შეუძლებელი გახდა. კონფერენციის თავმჯდომარემ მიმართა მუშებს შემდეგი სიტყვებით :

ამხანაგებო, კრება გადავდოთ სახვალიოდ. ეხლა კი წავიდეთ ქარხანაში; იქ მუშაობს ღამის ცვლა, მათთან ერთად მოვაწყოთ მფრინავი მიტინგი. ძველად თუ ახალწელს ხვდებოდენ თოფის სროლით და კალანდებით, ახლა ახალი წელს წარმოებაში უნდა შევხვდეთ ჩაქუჩის დაკვრით, ჩვენ აღარ გვინდა რელიგიური ფარისევლობა გვინდა შრომა —შრომის ქვეყანაში.

დიდი ოვაციების შემდეგ მუშები მიემგზავრებიან მუსიკით მთავარ სახელოსნოს შეეკრებ საამქროში, საიდანაც გამოდის დამთავრებული ორთქლმავლები. მალე საამქროში მუშების რიცხვი გაიზარდა, მუშებში გაისმა სიხარულის ყიჟინა, ვაშას ძახილი.

სახკინმრეწვს აქ დაუმზადებია დიდი ელნათურები და აპარატი სურათების გადასაღებად. მოახლოვებულია ღამის თორმეტი საათი. მოღლილ მოქანცულმა ძველმა წელმა უნდა დაუთმოს ახალ წელს შრომის გრძელი, დაზგა და მანქანა, რომ ახალმა ხუთწლედის მეოთხე მესამე გადამწყვეტმა წელმა განაგრძოს გიგანტიური მშენებლობა სოციალისტურ შრომის ფრონტზე.

შესრულდა ღამის თორმეტი საათი. ასტყდა სიხარულის და გამარჯვების განგაში, დაიწყო გუგუნი ქარხნის საყვირმა, მას ბანი მისცეს ტფილისის სადგურში მდგომმა ორმოცდა ათმა ორთქლმავალმა, ქარხნის საყვირისა და ორთქლმავალთა მილებიდან ამოვარდნილმა ორთქლმა შუაზე გააპო მძიმე ყინვისაგან დაკუმშული ჰაერი. მოისმის შრომის გმირთა უკანასკნელ კვარტალის საწ.-ფინგეგმის შესრულების უკანასკნელი ჩაქუჩების დარტყმა. დამთავრდა განგაში.

პირველი საათის ხუთი წუთია.

შეჩერდა მუშაობაც, რაიონული პარტკომიტეტი მუშებს მოუწოდებს თავისკენ, სადაც ტრიბუნაა ამართული. აგერ გამოჩნდა ღამის ცვლის წითელი დროშაც და შრომის გმირთა დევიზი. ვეებერთელა საამქრო ველარ იტევს მუშებს.

ტრიბუნაზედ ჩნდება ერთი ამხანაგთაგანი. რომელიც მუშებს მოუწოდებს შემდეგი სიტყვებით.

— ამხანაგებო, წლის ბოლო კვარტალის საწარმოო — საფინანსო გეგმის შესასრულებლათ ბრძოლის ჩაქუჩები ათი წუთია რაც გაჩერდენ და უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა ქარხანამ არამც თუ არ შეასრულა გეგმა, არამედ გადააჭარბა კიდევ ორი დიდი ორთქლმავალის და სამოცდაათი ახალი რონადის გაკეთებით. ჩვენ გავიმარჯვეთ. საკავშირო კონკურსზე ოცდათვრამეტი ქარხნიდან პირველობა ჩვენ გვერგო, რისთვისაც საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭო შუამდგომლობს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წინაშე, რომ ჩვენი ქარხანა დაჯილდოვებული იქნეს ამხ. ლენინის წითელი ორდენით.

ამ სიტყვებზე გაისმის დაუსრულებელი ვაშა და ტაში.

კრება იხურება; ორი ათასზე მეტი მუშა ენტუზიაზმით იშლება და მუსიკის მრგვინავ ხმებში ეხვევა.

**ივანე ნაზარბეგოვი.**

## დამკვრელ ქალს

საყვირი არღვევს მყუდრო ცხოვრებას,
დილა ადრიან აპობს ჰაერსა;
წაართმევს ძილსა ყველა გამგონეს
და სულს ჩაუდგამს, სულ სხვანაირსა
ცეხში შევდივარ მძლავრი სულის თქმით,
ისმის შრიალი ახალ მოსულთა;
ქალო, შენ დგეხარ დამკვრელი გულით
ტემპებში ჩაბმულ ქარხნების გულთან...
შენ მედგრათ იბრძვი დამკვრელობისთვის
ჯანით და აზრით დაუცხრომელი,
ყველა შევატყობს ხარ მოწინავე
და მშენებელი ახალ ცხოვრების.
შენ აღარ გავხარ წინანდელ ქალებს,
მათ არ მიგიგავს არც ხელის გული;
დამკვრელის დაფას შენ აფერადებ
სოფლისკენ იცქერ თუ არის ხნული.
ტემპში მებრძოლო, პიონერიანო,
ახალ ცხოვრების ბურჯისა მყრელო;
მუდამ იბრძოლებ სრული გეგმისთვის
რომ შევირჩინოთ საბჭოთა მდელო!

**კონსტანტინე კაკახიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარიზის კომუნის სამოცი წლის თავი



საპყრობილის „დე შანტიეს“ შიდა ნაწილი, სადაც დაპატიმრებულნი იყვნენ პარიზის კომუნაში მონაწილე აჯანყებული ქალები.



დაპატიმრებულ კომუნარების მასიური დახვრეტა ლიუქსენბურგის ბაღში.

## პარიზის კომუნარები

I.

ბარიკადებზე ცვიოდა ტყვია,
ილუპებოდენ კომუნარები,
—აქ ხომ გმირების გვამები ყრია,
და ხმაურობენ სისხლის ღვარები...
 პარიზს არბევდა ხმები ჯალათის,
ისმოდა: კვნესა, ჩივილი, წყევლა,
მუშა იბრძოდა სისხლის ხალათით,
იყო გმირული თავდავიწყება...
პირველ სიხარულს, პირველ კომუნას
აბობოქრებულ მკერდით იცავდენ,
მტერმა მუშების მკლავი მოღუნა,
და ბრძოლის ხმები ავარდა ცამდის.
შესწყდა დროშების ქროლა ქარული,
გაქრა ძახილი ლხენა ნარევი,
სისხლში ჩაიხრჩო მძლე სიხარული
მკერდდაჩეხილი კომუნარების.

II.

ჩვენ მოვიგონებთ კომუნის დღეებს,
ჩვენ, საბჭოეთის ნორჩი ბავშვები
ეს მოგონება ჩვენ აგვაღელვებს
წრფელი განცდების აგანგაშებით...
ჩვენ კომუნიზმის ცეცხლით ავივსეთ,
ყვავის, იზრდება საბჭოთა მხარე,
ნორჩი თაობა არ დაივიწყებს
დაღუპულ გმირებს და კომუნარებს!!..

გ. შატბერაშვილი.

[illegible]
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წითელი არმიის ქართული ნაწილების ათი წლის თავი

## გამარჯვებიდან გამარჯვებამდე

30 მარტს სრულდება მუშურ - გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების 10 წლის თავი.

ათი წლის წინად ჩაეყარა საძირკველი წითელი არმიის ქართულ ნაწილებს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ერთგულ დარაჯად უდგას საბჭოთა საქართველოს და რომელიც ცხოველ მონაწილეობას ღებულობს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

წითელი არმიის ქართული ნაწილები უფრო ადრე ჩაისახა საქართველოში, — ეს იყო საქართველოს მუშების და გლეხების შეიარაღებული ბრძოლები მენშევიკების ხელიხუმი, გურია, ქართლი, ოსეთი და სხვა რაიონები აჯანყებების ალში იყო გახვეული. და სწორედ ეს იყო წითელი არმიის ქართული ნაწილების პირველი ჩანასახი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა.

ქართული ნაწილების განმტკიცებას და გაძლიერებას დაბეჯითებით მოითხოვდა ვ. ი. ლენინი. ამის შესახებ მან ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს:

„ამხ. სერგო! აბსოლუტურად საჭიროა, რათა საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიროგორც ერთ მთლიან ძმურ ოჯახში, ქართველ წითელარმიელებთან ერთად არიან ოსი, თურქი, აფხაზი, სომეხი, ბერძენი და გერმანელი წითელარმიელები.

როგორც საერთოდ მთელი წითელი არმია, ისე კერძოთ ქართული ნაწილები ზრდიან და ამზადებენ მსოფლიო ოქტომბრისათვის მებრძოლთ, საბჭოთა მიწა-წყლის დამცველებს და ეს მზადება დღეს უფრო უნდა გაძლიერდეს, დღეს უფრო მეტი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ წითელარმიელზე, უფრო უნდა დავუახლოვდეთ და გავიცნოთ მათი ცხოვრების პირობები და ბრძოლის უნარია-





წითელი არმიის ქართული ნაწილების ვარჯიშობის სხვადასხვა მომენტი.



ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ ომისთვის კი მზად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი მკერდით დავიცვათ ზღვა სისხლით მოპოვებული საბჭოთა ხელისუფლება.





სუფლების და აქ მოკალათებულ ინგლისელ და გერმანელ იმპერიალისტების წინაალმდეგ.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ადრევე დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში; შეიარაღებული აჯანყება და პარტიზანული ბრძოლები მენშევიკურ საქართველოს ყოველ კუთხეს

ღებული იქნას გადაწყვეტილება ქართული წითელი არმიის აუცილებლად გაძლიერების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ნამდვილად უნდა იქნას განხორციელებული".

ამნაირად შეიქმნა მუშურ - გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილები, რომლებიც დღეს წარმოადგენენ პროლეტარულ სამშობლოს მედგარ დამცველთა და მსოფლიო

ნობა, რადგან მსოფლიო კაპიტალიზმს ალიზიანებს სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით ზრდა, საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოება, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულება და 1931 წელს სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის დამთავრება, რისთვისაც ის გააფთრებულ მზადებაშია ახალი ომების გასაჩაღებლად და მუშებისა და გლეხების ხელისუფლების გასა-

„ჩვენ არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა, მაგრამ არც სხვას დავანებებთ ჩვენი მიწის თუნდაც ერთ გოჯს“.

წითელი არმიის ქართული ნაწილები დღესასწაულობენ რა დღეს თავისი არსებობის ათი წლის თავს, მეთერთმეტე წელს კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ თავისი კლასობრივი სიფხიზლე, ბრძოლის უნარი და ყოველ წუთს მზად იყვნენ თავხედი მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად, რომელიც გვევლინება მსოფლიო კაპიტალის და მისი მონა - მორჩილის მეორე ინტერნაციონალის სახით.

მსოფლიო კაპიტალისტებთან ერთად ქართველი მენშევიკებიც ამზადებენ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, ეს მდგომარეობა გვავალებს გავიხსენოთ წარსული მსოფლიო ომის საშინელება, რომელმაც 10 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 21 მილიონი ადამიანი დაასახიჩრა, ხოლო თვით ომი დაჯდა მთელი ქვეყნის სიმდიდრის ერთი-მესამედი — 670 მილიარდი მანეთი.

და ასეთი ომები ყოველთვის იქნება, სანამ ბურჟუაზიული სახელმწიფოები არსებობს.

დღესაც ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან ყოველთვის მოსალოდნელია საბჭოთა კავშირზე თავდასხმა.

საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ომის საფრთხის შიდა ყოველი მშრომელისაგან, ვინაიდნაც ღერფასია მუშებისა და გლეხების ხელისუფლება — საბჭოთა ხელისუფლება — მოითხოვს მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას თავდაცვისათვის, სოციალისტური ინდუსტრიის ტემპების ზრდისათვის, საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოვებისათვის, ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის, რომელსაც მივყევართ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

საბჭოების მერვე ყრილობაზე ამხ. ლენინმა სთქვა:

„წითელმა არმიამ თავიდან აგვაშორა იმპერიალისტების თავდასხმის განმეორება დიდი ხნით, მაგრამ არა სამუდამოთ, ჩვენ უნდა მოვემზადოთ ახალი ომებისათვის, რომელიც აუცილებელია, რადგან წინაალმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ჩვენს ქვეყანას შორის უფრო და უფრო ღრმავდება“.

## ბრძოლა უმუშევრობასთან „აყვავებულ“ ამერიკაში

F687



უმუშევრები ღამეს ათევენ ქუჩებში ცარიელ ყუთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა სიჩუმეა

.. ჯერ კიდევ საგანთიადო ბინდები მიზოზავენ მთაწმინდაზე და მტკვრის ჩალურჯებულ, მორღვეულ ნაპირებზე.

ჯერ კიდევ, დილის უფერო ბინდებში სთვლემს ქალაქი და მტკვრის ნაპირებზე კოლოფებივით ჩალაგებული სახლები.

ჯერ კიდევ, არ აგუგუნებულა ქარხნის საყვირი და გუგუნი არ გაშლილა ცივ სივრცეში.

ადრეა.

ცარიელია ქუჩები და ნისლჩამოწოლილი.

ყვითლად ბჟუტავენ ელნათურები ძარღვებივით დაზიდულ მავთულებზე და არ ლიცლიცებენ ისე თვალის მომჭრელად, როგორც ღამით.

მიდის ცარიელ ქუჩებზე გობრონ ხეთაგური და მიარღვევს დილის სიჩუმეს.

ადრეა.

ქარხნის კარები ისევ ისეა მიხურული და ეს ცივი კედლები, ქარხნის ნაცრისფერი შენობები, ცად აზიდული შებოლილი მილები, საამქროები, კორპუსები მოუცავს საალიონო ნისლიან სიჩუმეს.

ტკივილი, რომელსაც ხეთაგური მუდამ განიცდიდა, ეს იყო მთლიანად ქარხნის დამკვრელად გამოცხადება. ეს იყო სამფინგეგმის გადაჭარბებით შესრულება.

— ჩვენი ქარხანა უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის!

ყველგან: ქარხანაში, მანქანასთან, დაზგასთან, გუგუნში, ხმაურში, სადაც არ უნდა იყოს — ყველგან ახსენდება მას ეს სიტყვები და რაღაც მოუსვენრობა ეუფლება.

მით უფრო მას შემდეგ, რაც ქარხანა გარღვევის რეალურ საფრთხის წინაშე დადგა.

ვერ ისვენებდა, ვერ ითმენდა ხეთაგური ამას.

დადიოდა დაზგიდან დაზგასთან, დასტრიალებდა თავს მანქანებს, საამქროებს, კორპუსებს, აწყობდა კრებებს, მოხსენებებს...

— მომავალი, ჩვენი მიზნები, იმედები, მხოლოდ ჩვენივე ხელებში იქცევა სინამდვილეთ და დღე, დაზგას ისე დაჰკარით, რომ ყოველი დარტყმა სახვალიო იმედებისათვის ჟღერდეს...

წავიდა რომანტიკის დრო... დღეს ყველაფერს პირდაპირ თვალებში უნდა უყურებდე. არავითარი მობრუნება არავითარი მოკიბ-მოკიბვა. პირდაპირ გენერალურ ხაზზე. პირ. თუ გინდ სიკვდილიც, რომ იყოს. დაჰკარ, დასცხე და გაანიავე თვით სიკვდილიც კი...

ამბობდა ასე გობრონ ხეთაგური, ძველი ბოლშევიკი, საამქროს ენთუზიასტთა საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი.

მას ჰქონდა საკმაოდ ძლიერი ხმა.

თითქოს სჭექდა, თითქოს გუგუნებდა მისი სიტყვები თეთრად კარშეფითქილ კედლებ შუა.

მისი ყოველი სიტყვა რისხვაა გამქცევებზე, წამგლეჯელებზე.

მისი ოდნავ უძრავი, მკაცრი თვალები, ძირებივით ჩხვლეტავდა მაცქერალს.

და გობრონიც ჯიუტად მხოლოდ დამნაშავეს უყურებდა.

ჩასცქეროდა მკვირცხლ თვალებში. დამნაშავე ვერ უძლებდა გობრონის ჯიუტად მაცქერალ, ცეცხლოვან მგზნებარე თვალებს და თავს ხრიდა ძირს.

მიდის გობრონ ხეთაგური ამ გარიჟრაჟზე. უკვე აუშვეს პირველი საყვირი და მკერდ ქვეშ რაღაც ჩხვლეტავს, კაწრავს.

— გარღვევა! — ჯიუტად იმეორებს თავისთვის.

— გარღვევა!

მძიმედ აწვება ეს სიტყვა და ძალაუნებურად უმატებს ნაბიჯს.

თითქოს სურს, ამ სიტყვას გაექცეს.

თითქოს სურს, ამ სიტყვას მოშორდეს.

მძიმეა ეს სიტყვა. ცივია ლოდივით. თითქოს გულს ფხოკნის, თითქოს გულს კაწრავს.

აი, ის: ქარხანა, ქარხნის შენობები, ამ საგანთიადო ბინდებში დილის სიცივეში ასე კუშტად რომ გამოიყურებიან.

აი; მაზუთის აუზები—სისხლივით რომ შედის მანქანებში... აცოცებს და აზანზარებს შენობებს ფოლადის გუგუნი.

აი: საამქროები, კორპუსები; სამონტაჟო, მექანიკური, ბნელ სიღრმეებად რომ არიან გაჭინთული და ჯერ ღამის სიჩუმე რო არ დაურღვევიათ.

ელიან ენტუზიასტებს.

ელიან მტკიცე, ძარღვიან ხელებს, რომლებიც ებრძვიან ნივთებს, უცვლიან სახეს, ქმნიან სრულიად ახალ მანქანის ნაწილებს ყალიბებში ლილისფერი ალის ქვეშ, კუნთების უჩვეულო დაჭიმვით, სიყვარულით.

აი შავად აფრენილი უზარმაზარი ბორბლები. მსხვილი მილები, მავთულები, ფოლადის ნაჭრები, ნატეხები.

მანქანები სხვა და სხვა სისტემის.

მანქანები სხვა და სხვა ზომის, ასე გულის გასახარებლად რომ ჩამწკრივებულან სიღრმეებში.

აი: ყოველივე ის, მთელი ქარხანა, ინდუსტრიალური სიმთონიის—საალიონო სიჩუმეში მიყუჩებული ძრავები, რაც გობრონ ხეთაგურს მოსვენებას არ აძლევს.

აი: მთლიანად ის ქარხანა, რომელიც უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის.

—

აუშვეს მეორე საყვირი.

ჯერ კიდევ არავინ მოსულა.

ხეთაგურმა კი მუშაობა დაიწყო.

მუშაობს ხეთაგური, როცა ჯერ კიდევ არავინაა, როცა სიჩუმეა.

მკვეთრად გაისმის ჩაქუჩის დარტყმა და ეს ხმები ყრუდ იფანტებიან შორის კორპუსებში.

გადახედავს საამქროებს, სიღრმეებიდან გამოიყურებიან მანქანები და შავად აფრენილი უზარმაზარი ბორბლები.

ხეთაგური ცხრა წელიწადი დასტრიალებდა ამ მანქანებს და მერე რომ იცოდეთ რა ახლოსაა მანქანის გულთან...

— სიცოცხლე მანქანებშია... სიცოცხლე მანქენების გუგუნშია... უძლეველია მანქანების ძალა და ეს ძალა კი თითონ ჩვენშია! ეს ძალა თვით ენტუზიასტებშია.

იდევიან ფიქრები და ფიქრებში გობრონ ხეთაგური უფრო მომეტებულად სჭრის, ხერხავს, ბურღავს.

ყოველ წვრილმანს ისე აკეთებს როგორც დიდ რამეს.

— ჩვენ გავიმარჯვებთ. მაგრამ...

რატომღაც ჯიუტად შეჩერდა ამ სიტყვაზე და რამოდენიმეჯერ განიმეორა...

მაგრამ... მაგრამ,.. მაგრამ..,

უნდოდა ამ სიტყვისათვის ფრთხილები გაეხსნა. აეხსნა. გაეგო თითონ ეს სიტყვა...

— მაგრამ... განიმეორა ისევ თავისთვის და განაგრძო — მაინც რას ნიშნავს ეს სიტყვა „მაგრამ", „რაკი" „როცა" — ტრიალებდენ ეს სიტყვები ფიქრებში და თითონ ხეთაგურს უკვირდა, თუ რათ აეკვიატა ასე.

— გობრონ!

გაისმა კარებიდან ძახილი და ვიღამაც მხრებზე მაგრად დაჰკრა ხელი.

გობრონი მობრუნდა. თვალწინ იდგა ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე და მაგდა.

— ჩვენც შენთან ვართ! ჩვენც ადრე მოვედით! — ღიმილით ეუბნებოდა ბართლომე ხარაბაძე და თვალს არ აშორებდა გობრონის მხიარულ სახეს.

— შენ მაინც დაგვასწარ! შენ მაინც წინა ხარ!

ნელა მიმართა მაგდამ გობრონს და თვალები თვალებში გაუყარა.

ხეთაგურმა მაგრად ჩამოართვა ორივეს ხელი.

— კარგია! ძლიერ კარგი! თუ, ასე ვიქნებით, ოდინს გავაცლით ყველა ჯურის გამცდენებს! — მხიარულად მიმართა მათ გობრონმა. შემდეგ ხარაბაძეს მიუბრუნდა და უთხრა...

— მე შენგან ამას მოველოდი! შენ ძველი მუშა ხარ და მუშათა საქმის შესრულებაში პირველი უნდა გახდე! ყოჩაღ! მე მიხარია ეს! დავარტყათ ერთად და გავიტანოთ ქარხანა დამკვრელად, დამკვრელთა შორის!

მაგდა ხედავდა, თუ როგორი აღტაცებით ამბობდა ამ სიტყვებს ხეთაგური და სიყვარულით უთათქუნებდა ხელებს ხარაბაძის მხრებზე.

მაგდა გრძნობდა გობრონის სიტყვებში გულწრფელობას და ამხანაგურ სიყვარულს, საქმისადმი თავგამოდებას.

მაგდა გრძნობდა, რომ ხეთაგური იყო სრულიად სხვა, განსაკუთრებული და საოცარი ადამიანი. არა, საოცარი კი არა, რაღაც თავისებური, რაღაც განსაკუთრებული, რომელსაც ერთი შეხედვით მასში ვერც შეამჩნევდით.

ვერ შეამჩნევდით, თუ გინდ იმას, რაც მას ახასიათებდა, რაც მას ხდიდა ეგზომ მიმზიდველ და სასიყვარულოდ.

თითქოს ყოველივე ეს განსაკუთრებული (მაგდას გამოთქმის თანახმად) მხოლოდ კრებებზე, მანქანებთან, ენტუზიასტებში ლაპარაკში მჟღავნდებოდა.

ეს გატაცება, ეს ინტერესი საქმისადმი, თავგამოდებით მუშაობაში მჟღავნდებოდა და თანდათან ყველას საყვარელ გმირად ხდებოდა.

გობრონი არასოდეს ისე აღტაცებული არ ყოფილა, როგორც ეხლა, როცა თვალწინ ხედავს ხარაბაძეს და მაგდას.

მოვიდნენ სამუშაოდ მაშინ, როცა სიჩუმეა, როცა ჯერ კიდევ მესამე საყვირი არ აუშვიათ.

უხარია ეს.

უხარია, მიტომ, რომ ხედავს დღითი დღე, თუ როგორ იზრდება აქტივობა მასებიდან.

აი, თუ გინდ თვით ბართლომე ხარაბაძე, რომელსაც წარსულში მრავალი გაცდენა ჰქონია, რომელიც თითქმის უგულოდ შესცქეროდა ენტუზიასტების თავგამოდებითი ბრძოლას გეგმის შესასრულებლად და ეხლა კი თითონ ჩადგა მათ რიგებში და იბრძვის პირველობისათვის.

მოვიდა ადრე (როცა სიჩუმეა.) ისე, როგორც გობრონი, ისე, როგორც მაგდა.

—თუმცა მე დამცინოდნენ... თუმცა მასხრად მიგდებდნენ, მაგრამ...

—რას ამბობ ბართლომე??—შეაწყვეტინა გობრონმა—ვინ დაგცინოდა.

—აი, კირიონ ქვემოკლიძე და ზოგი იმათგან... მაგრამ დეე, რაც უნდათ ისა სთქვან... ჯანდაბას იქით მაგათი თავი...მე შენთან ვარ, ვიქნები და მგონია საქმეში უკან არ ჩამოგრჩები.

—მომწონს ეგ სიტყვები! მომწონს! იმათ, რაც უნდათ ისა სთქვან....

ამ სიტყვებზე მაგდამ ნელა ჩაიღიმა და უთხრა....

—გობრონ! ჯერ კიდევ ბუქსირზე აყვანა მოგიხდება [illegible] კიდევ ზარმაცობენ აქა იქ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრონმა მხიარულად გადაიხარხარა და სიცილით უთხრა...

—იცოცხლეთ, რომ ბევრს შეუცუხურო!

მაგდამ ერთხელ კიდევ შეხედა გობრონის მხიარულ სახეს და მოწყვეტით მოსხლტდა ადგილიდან.

— აბა, ვინ მეტს და უკეთ გააკეთებს!

გადასძახა მაგდამ ბართლომე ხარაბაძეს.

—მიწვევ შეჯიბრში? შევეჯიბროთ! გამიხმეს მარჯვენა, თუ უკან ვინმეს ჩამოვრჩე! აბა, ვნახო ვინ როგორ იმუშავებს!

უპასუხა თავის მხრივ ბართლომემ და იქვე, იმავე საამქროში დაზგისკენ სწრაფად წავიდა.

გობრონს უხაროდა ეს და მანქანების უძლიერეს ძალას ტანში გრძნობდა, მოჭარბებულ სისხლად, რომ აწვებოდა და ხდიდა უფრო ხალისიანად. ნათი რიგები მრავლდებოდა. მათ მაგალითს ბევრი სხვაც ბაძავდა.

—კარგია! ქარხანა უთუოდ გახდება დამკვრელი დამკვრელთა შორის.

წაილაპარაკა თავისთვის ხეთაგურმა და დაზგას მიუბრუნდა.

და ასე: როცა სიჩუმეა, დაიწყეს მუშაობა და საამქროდან დილის ნისლიან სიჩუმეში ყრუდ იფანტებოდა ჩაქუჩის დარტყმა.

**ა. ჩაჩიბაია**



რიონჰესი. საგენერატორო შენობის აგება

# „კონციპისტი“

ეს მოხდა 1919 წლის აგვისტოში, ვენგრიის საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ, ბუდაპეშტის საბოქაულო სამმართველოს შენობაში. ჰაერი გაჟღენთილი იყო სისხლის სუნით და ქალების ტირილით; მთელს შენობაში ისმოდა კვნესა და გოდება.

ჩვენ ვიწექით პატარა საკნებში, მეტად შევიწროვებულნი, ნაცემნი, დაგლეჯილები. —

ჩვენ გვიერთდებოდნენ სულ ახალი ხალხი. ვენგრიის სატახტო ქალაქში, რუმინელი ჯარისკაცები და ვენგერთა თეთრგვარდიელები ერთად ასრულებდნენ ჯალათის მოვალეობას.

ოცს თუ ოცდაერთს — კარგად არ მახსოვს პანღურის კვრით ჩვენთან შემოაგდეს მოხუცი გლეხი. იგი ფეხშიშველი იყო, უქუდოთ. მთელ მის ქონებას წარმოადგენდა სამგზავრო გუდა, რომელიც ზურგზე ჰქონდა გადაკიდებული. ჩვენ მოხუცს გარს შემოვერტყით და შეკითხვები მივაყარეთ:

— საიდან ხართ! რატომ დაგიჭირეს? თქვენ კომისარი იყავით საწარმოოზე, თუ სასოფლო საბჭოს თავჯდომარე?

— არა — გაიცინა მოხუცმა — არავითარი მსგავსი თანამდებობა მე არ მეკავა. ჩემი აზრით (ჩემი „კონცეპციით“, როგორც მან სთქვა) მე არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია! შემთხვევით დამაპატიმრეს.

— შემთხვევით?

— დიახ. ჩემი აზრით აქ წმინდა შემთხვევითი მოვლენაა. მე მხოლოდ გავასწორე პლაკატი.

— რომელი პლაკატი!

— რომელი და, ხომ იცით, სოციალ-დემოკრატების პლაკატი. ჩვენი მეგობრები, ბატონი სოციალ დემოკრატები, როდესაც ჩვენს შემდეგ ხელისუფლება ჩაიბარეს, პლაკატების ბეჭდვა დაიჩქარეს.

(ვენგრიაში, საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ, რამდენიმე დღით „წმინდა სოციალ-დემოკრატიული“ ხელისუფლება იყო, ეგრედწოდებული „პროფკავშირული“ მთავრობა. თეთრგვარდიელებმა ისინი ერთი ხელის მოსმით გააქრეს).

— რა იყო იმ პლაკატებზე დაწერილი? შევეკითხეთ მოხუცს.

— საქმეც მაგაშია! ჩემის აზრით, პლაკატები მხოლოდ სიმართლეს უნდა შეიცავდეს. იქ კი ნათქვამი იყო, რომ სოციალდემოკრატები ყოფილ საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიან. პასუხისმგებლობა მხოლოდ კომუნისტებს აწევთ თავზე. ეგ რას ნიშნავს? ბატონი სოციალდემოკრატები ხომ ყველაფერს კომუნისტებთან ერთად აკეთებდნენ და მეტად მოხერხებულად წამოსკუპდნენ უმაღლეს ადგილებზე.

ეხლა კი მათ არა სურთ პასუხისმგებლობა. ჩემის აზრით, ეს სიყალბე უნდა გასწორებულიყო. მე ავიღე ფანქარი და პლაკატზე ზოგიერთი ადგილები ამოვშალე. ეს რუმინელმა ჯარისკაცმა შეამჩნია, — სილა გამაწნა, ზურგში თოფის კონდახი დამარტყა და დამაპატიმრა. ჩემის აზრით, მე ისეთი არაფერი ჩამიდენია და უნდა გამანთავისუფლონ...

ეგრე მოხვდა ჩვენთან მოხუცი. ხშირად ამბობდა „ჩემის აზრით“ („ჩემი კონცეპციით“) მეც მას „კონციპისტი“ დავარქვი. და ეს ზედმეტი სახელი მას შერჩა. ვინ იყო მოხუცი, რა ხელობის იყო, რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენთან, გამოურკვეველია. როგორც ჩანს, იგი ძველი, ეშმაკი გლეხია, რომელსაც თავი ისე უჭირავს, თითქოს რაც იცის (და ცოდნით ბევრი რამ იცის) ყველაფერი შემთხვევით იცის. თუ კი მას რაიმე ეგვავე საკითხით შეუჩნდებოდნენ, იგი თავს ისე მოიკატუნებდა, თითქოს საკითხი არ ესმოდა. რადგან მოხუცს ფული და სურსათ-სანოვაგე არ გააჩნდა, ჩვენ ვუმასპინძლდებოდით. მე ჩემს ამხანაგებს ვსთხოვე, მოხუცისათვის ფეხსაცმელები და ქუდი მოეტანათ. ამიტომ მოხუცი ჭურჭელს გვირეცხავდა (სულ ოთხი, ხუთი თუნუქის სინი გვქონდა და ორმოცი, თუ ოცდაათი კაცისათვის ჭიქა). როდესაც ოთახი მეტისმეტად დანაგვიანდებოდა და „კონციპისტს“ დერეფნიდან წყალი მოჰქონდა, ჭუჭყიან იატაკს რეცხავდა, ისე, რომ ჯარისკაცის პანღურს ყურადღებას არ აქცევდა. იგი ჩვენით მადლიერი იყო და ჩვენ კი მოხუცით.

ღამით, როდესაც ყველანი რიგრიგობით თავიანთ ისტორიას ყვებოდნენ, მოხუციც მოჰყვა თავის ამბავს. იგი ლაპარაკობდა უბრალოდ და თავმდაბლად, მაგრამ ნათლად:

— ჩემი აზრით, — ამბობდა იგი — ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ ჩვენ დიდი შეცდომები დავუშვით. მე თქვენ გელაპარაკებით, გლეხი სრულიად არ არის ისეთი.. იგი რაღაც სხვაა. ჩემი აზრით თუ ვინმეს რაიმე უნდა გლეხისაგან მიიღოს, სამაგიეროთ მასაც რაიმე უნდა მისცეს. ეს მხოლოდ ერთმა იცოდა კარგად, — რას ეძახდენ მას? ჰო... ლენინმა.

ლენინის სახელი ძალიან ხშირად მეორდებოდა მოხუცის „კონსპექციებში“ ჩვეულებრივად იგი დიდხანს ფიქრობდა სანამ მას დაასახელებდა. ისე გეჩვენებოდა თითქოს მას ლენინის სახელი ჭკუაში შემთხვევით მოსდიოდა, ანდა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ. ერთხელ როგორღაც მან განაცხადა:

— მსხვილი მეურნეობის კოლექტივიზაცია... დიახ, შესანიშნავია. ჩემი აზრით, მაინც არ იყო საჭირო აქედანვე ერთბაშად და ყველგან დაწყება. საჭირო იყო გლ[illegible] მიწების დაყოფა, მაშინ გლეხს [illegible] ექნებოდა, რომ მემამულეთა შორისაგან თავი დაეცვა. შესაძლებელია საჭიროა რომ თვით გლეხი იყო, რომ ეს გაიგო. მე ვფიქრობ, რომ ის სწორედ გლეხი იყო.

— ვის მოხუცო?

— დიახ აი ის... ვისაც ყველაფერი ეგრე მშვენივრად ესმოდა... რას ეძახდენ?.. დიახ... ლენინს.

ერთხელ მოხუცი გავიხმე და ვკითხე:

— გამიგონე ამხანაგო „კონციპისტო“, როგორც ჩანს თქვენ იმას იცნობთ!

— ვის?

— ლენინს.

მისმა თვალებმა გაიელვა და მიპასუხა — მერე და მას ვინ არ იცნობს?

მისგან მეტი არაფერი გავიგე. კითხვაზე როცა ვეკითხებოდი: თქვენ ვინა ხართ. — მეთქი, იგი მიპასუხებდა:

— ესე... მოხეტიალე მქადაგებელი... მე გლეხებში დავდივარ და ჭეშმარიტ სიტყვებს ვეუბნები. იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ჩემი აზრით, გლეხებს უნდა ვეუბნებოდეთ. ისე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც მას სურდა.

— ვის?

— აი იმას... ვისაც ყველაფერი ეგრე კარგად ესმოდა. რას ეძახდენ მას? ჰო, ლენინს.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს საკანში თეთრგვარდიელი ოფიცრები მოვიდნენ და მათრახის ცემით სურდათ თვითეული ჩვენთაგანი გამოეტეხათ, ყველას სახეში ჩასცქეროდნენ. ყურადღება მიაქციეს მოხუცს. მისი სახელი და გვარი არც ერთ სიაში არ იყო შეტანილი.

— ეი, შენ გლეხო, აქ რა გინდა? ერთ-ერთი ოფიცერი შეეკითხა მოხუცს,

— ჩემის აზრით, არაფერი — თავმდაბლად უპასუხა მოხუცმა.

— შენ გინდა სახელმწიფო ხარჯზე ირჩინო თავი? შენ უთუოდ სადმე ჭაობში იწექი ღორივით მთვრალი და გაუგებრობით პოლიტიკურებს შორის მოგათავსეს? დაიკარგე აქედან!..

— სიამოვნებით, ბატონო კაპიტანო — მშვიდად უპასუხა მოხუცმა. — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შემთხვევით მოხვდი. რუმინელებს ჩვენი ენა არ ესმით...

მოხუცმა ფეხსაცმელები გაიხადა და გუდაში ჩააწყო, რომელიც მას ბალიშის მაგივრობას უწევდა და რომელსაც დღისით მუდამ თან ატარებდა, თითქოს შიგ რაიმე ძვირფასი ნივთები ეწყო. ნამდვილად შიგ ჭუჭყიანი ხალათი და პატარა წიგნი

ედო, ლოცვანის მაგვარი. რადგან მოხუცმა თვითეულ ჩვენგანის გამომშვიდობება დაიწყო, ოფიცერმა პანღური ჰკრა და საკნიდან გააგდო.

ამის შემდეგ ჩვენ „კონცეპისტი“ აღარ გვინახავს.

ერთი რუმინელი ამხანაგი კომუნისტების უკანასკნელ დიდ პროცესზე, მთავარ ბრალდებულად უნდა ყოფილიყო, რომელიც მანიუსის დემოკრატიულმა მთავრობამ მოაწყო. მან თავიდან აიცილა სამუდამო კატორღა, რადგან ციხიდან გაქცევა მოახერხა. ხსენებულმა ამხანაგმა ამ დღეებში ბერლინში მინახულა და შემდეგი ამბავი მომითხრო!

— უნდა გადმოგცეთ თავისებური სალამი. ჩვენ სოფელში გარდაიცვალა ერთი მოხუცი, არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა. ჩვენ მას მუდამ გაუსწორებელ მოხეტიალედ ვთვლიდით, რადგან გაზაფხულის მოახლოვებასთან ერთად მოიკიდებდა თავის გუდას და ვენგრიის საზღვრებს გასცილდებოდა. მხოლოდ ზამთრობით იგი ბრუნდებოდა და თავის ქალიშვილთან სცხოვრობდა. იგი საქონელს მწყემსავდა და თავლაში იძინებდა. გაიძახოდა, რომ იგი დიდი ნაკითხია. ამით არც არავინ იყო დაინტერესებული, რადგან მოხუცი ბრიყვად ჰყავდათ მიჩნეული. წრევანდელ ზამთრის დასაწყისში, როდესაც მოხუცი ხელახლა ჩვენს სოფელში გამოჩნდა, ჩემთან მისი ქალიშვილი მოვიდა და მითხრა:

— ბატონო, მობრძანდით ჩვენთან. მოხუცი კვდება. მას სიკვდილის წინ თქვენთან მოლაპარაკება სურს.

— მე განა მიცნობს მოხუცი? გაკვირვებით შევეკითხე.

— ამბობს ვიცნობო!

მე იმ ქალს გავყევი. მოხუცი უკვე თავლაში არ იწვა. იგი ოთახში იწვა. მომესალმა. ქალიშვილი ოთახიდან გაისტუმრა და დამიწყო ლაპარაკი იგი მეტად თავისებურად ლაპარაკობდა... ხშირად ერთ და იმავე ფრაზას იმეორებდა „ჩემი კონცეპციით“.. ეგ მეტად ლიტერატურულად ისმოდა გლეხის პირიდან. საერთოდ იგი უბრალოდ და გონივრულად ლაპარაკობდა. მოხუცმა მითხრა:

— დაბრძანდით, ამხანაგო! ჩვენ შეიძლება ნახევარი საათის ვადა გვაქვს სალაპარაკოდ. ჩემი აზრით, უკვე სიცოცხლის დასასრული ახლოვდება და გაზაფხულზე ველარ გადავალ ვენგრიის საზღვრებზე. მე თქვენ ვენგრიის მთელ რიგ სოფლებს დაგისახელებთ. მხოლოდ ნუ ჩასწერთ; ყოველ სოფელში მყავს ამხანაგები ღატაკი გლეხები ან გრაფების მსახურები. ეგ ის სოფლებია, რომელიც მე მოვამზადე და მოხუცმა თვალები ეშმაკურად შეათამაშა.

ნუ გაგიკვირდებათ. მე დამოუკიდებლად ვმუშაობდი. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ხნით ადრე დამიჭერდენ. მაგრამ ვერ დამიჭირეს მეტად რთულ მომენტებშიაც და ამრიგად ვფიქრობ ცუდად არ მიმუშავნია. ბოლოსა და ბოლოს მე მინდოდა ვინმესთან კავშირი მქონოდა, რომ ჩემი სოფლები პარტიისათვის გადამეცა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ასი კილომეტრის ფეხით გავლა — ჩიქიდინამდე. საამისოდ ღონე არ შემწევს. ეხლა კი ეს შენი საშვალებით მინდა მოვაგვარო, რადგან ვიცი, თქვენ რუმინიის პარტიის წევრი ხართ ამის გარდა, ვინაიდან თქვენ ვენგრიელი ხართ, უთუოდ შეხვდებით იმ ამხანაგებს, რომელთაც ჩემი საქმე აინტერესებთ.

მოხუცმა დაიწყო თხრობა. აშკარად უნდა გითხრათ, რომ მე ყველაფერი არ მჯეროდა, რადგან იგი მეტად რომანტიული იყო. შემდეგ კი გამოირკვა, რომ მოხუცი სიმართლის ამბობდა. საზღვარზე ერთ მსხვილ მამულში მან ჩამოაყალიბა ღატაკ გლეხებისა და გრაფების მოჯამაგირეთა ძლიერი ორგანიზაცია. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა „მშვიდ“ მოძრაობას: ხელფასის გადიდებისათვის მომკელების გაფიცვებს. ამ დროს იგი არასოდეს ყოფილა შემჩნეული. მეგონა, ყველაფერი ამ სინამდვილეს იყო დაშორებული. როდესაც მიხვდა, რომ მე მისი მთლიანად არა მჯეროდა, მან თქვენი სახელი ახსენა და სთქვა, რომ თქვენთან ერთად იჯდა ციხეში და დაუმატა. — არ ვიცი ეხლა სად არის გაბორი. გავიგე თითქოს მოსკოვშია. თუ თქვენ იმას შეხვდებით, ძველ „კონცეპისტისაგან“ სალამი გადაეცით!.. ეგ დაიხსომეთ... იგი მიხვდება თუ ვიზეა ლაპარაკი. მოხუცის თხოვნას ვასრულებ. გადმოგცემთ სალამს ძველ „კონცეპისტისაგან“ ამ ისტორიას სხვა მიზეზებითაც მოგითხრობთ. მოხუცმა მითხრა — ამხანაგებო, მე ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს, ყველაფერი დავსწვი. მაგრამ ცოტა რამ კიდევ მაქვს თავლაში, ზეით. ეგ გახლავთ პატარა ბიბლია.

— აბა ეგ ხომ საშიში არ არის, — შევნიშნე მე.

— არა, იმიტომ კი არა... ბიბლია რუსულია — თქვენ რუსულად კითხულობთ?

— დიახ, მე სამხედრო ტყვეთ ვიყავი და ხუთი წლიწადი რუსეთში დავყავი. ცოდი შკოლა არ გამივლია. ამხანაგო, ეხლა როდესაც ჩემთვის სულერთია, შემიპყრობენ, თუ [illegible] ჩემი აზრით, შემიძლია ბევრი საინტერესო რამ გიამბოთ. მაგრამ, ბევრი ლაპარაკი მიმძიმს... ეგ ბიბლია ქალაქ სამარადან მაქვს! მე იგი მემამულის ბიბლიოთეკიდან წამოვიღე. იგი შემკულია სპილოს ძვლით და წვრილი შრიფტით არის დაბეჭდილი. მთელი ბიბლია ქურთის ჯიბეში შეიძლება ჩაიდო. იმ წიგნში ძევს ჩემი წერილი მიძღვნილი ვენგრიის ამხანაგებისადმი. მარტის ბოლოს თავლაში თივა უკვე შეთხელებულია, და თქვენ წიგნს ადვილად იპოვით. იგი მარცხენა კუთხეში ძევს. როდესაც მე ამხანაგ გაბორთან ერთად ციხეში ვიჯექ, ის წერილი წიგნში მქონდა. იგი გამოხვეული იყო ჩემს ხალათში და გუდაში მედო! წერილი რომ აღმოეჩინათ, ჩამომახრჩობდენ... მაგრამ მე მათ საეჭვო კაცად არ მივაჩნდი და საბოქაულო უბნიდან პანღურით გამომისტუმრეს. მოხუცს გაეღიმა. მე მინდოდა მეკითხა, რა წერილი იყო, მაგრამ მისი ქალიშვილი შემოვიდა და მამას საჭმელი მოუტანა. შემდეგ კი მისი მოშორება შეუძლებელი შეიქმნა. მოხუცმა დაიწყო არეული ლაპარაკი, თუმცა არ ვიცი ეგ სინამდვილით ხდებოდა თუ მოხუცი იგონებდა, რომ ქალიშვილს რაიმე ეჭვი არ დაბადებოდა. გამოვემშვიდობე. შემდეგ გადმომცეს, რომ მოხუცი — იმავე კვირას გარდაცვლილიყო.

— ჰო, მაგრამ ბიბლია რა უყავით? — შევეკითხე ამხანაგს.

— მართლა, ამის შესახებ მინდა გადმოგცეთ. მოხუცის სიკვდილიდან [illegible] თვის შემდეგ სოფელში მოვიდნენ ჟანდარმები და აგენტები. მოხუცის ქალიშვილი დააპატიმრეს და თან „რუსიც“, რომელიც ომის დროიდან ჩვენს სოფელში ცხოვრობს, — დააპატიმრეს. მას ეძახიენ ილია სალავიოვს. მან ცოლი შეირთო, სამხედრო ტყვეობის დროს, დარჩა სოფელში და არასოდეს „ნგრევითი ტენდენცია“ არ გამოუჩენია. პირველად მე ვიფიქრე, რომ ჟანდარმების სოფელში გამოჩენა ჩემს მუშაობასთან იყო დაკავშირებული და მივიმალე. შემდეგ კი ამხანაგებმა გადმომცეს, რომ მოხუცის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქალიშვილმა თავლაში იპოვა წიგნი, — წიგნი საკვირველ ენაზე დაწერილი.

ჩემთვის უკვე ცხადი იყო, რომ ის წიგნი ბიბლია, ანუ ლოცვანი იყო. რუსი, რომელიც სოფელში დურგლობას ეწეოდა, მოხუცის ქალიშვილის სკამს აკეთებდა და მუშაობის დროს ფანჯარაზე წიგნს თვალი მოჰკრა, გაეხარდა რუსული წიგნის დანახვა და მისი შინ წაღების სურვი-

ლი გამოთქვა. წიგნს დათვალიერება დაუწყო, შიგ რუსულ ენაზე დაწერილი წერილი იპოვა, როდესაც წერილი წაიკითხა, პირჯვარი გადაისახა გაფითრდა, როგორც მომაკვდავი და ერთბაშად სახლიდან გაქცევა მოინდომა. მოხუცის ქალიშვილმა იგი ჩეაჩერა და ვედრება დაუწყო, რათა აეხსნა მისთვის, თუ რაში იყო საქმე, რუსმა ისევ პირჯვარი დაიწერა და წერილი გადაუთარგმნა. იქ სულ სამი სტრიქონი იყო დაწერილი (მე თვითონ ვნახე ის ბარათი გამომძიებელთან.—ჩემი გაქცევის წინ).

„ძვირფასო ამხანაგებო! თავისთავად ცხადია, რომ მე ეხლა დრო არ მაქვს, მაგრამ თუ თქვენ ხვალ დილით სმოლში გამოცხადდებით, დროს ჩევარჩევ, რომ თქვენ მოგელაპარაკოთ. **ლენინი**".

ქალიშვილმა ვერ გაიგო, თუ რუსმა რატომ გადისახა პირჯვარი წერილის კითხვის დროს. იგი მას დასცინოდა. მეორე დღეს თავის ამხანაგებს მოუყვა, თუ რუსები როგორი ცრუმორწმუნეები არიან, ილია როგორ იწერდა პირჯვარს რუს-ამხანაგის წერილის კითხვის დროს ამასთან ერ-



ათხაზეთის თამბაქო კოლექტივიზაციის გზით



მშენებლობა ბათომის ნავთ სადგურში



ნავთის ბატარეა ბათომის ახლოს.



აჭარლები ნავთის გადამმუშავებელ ქარხნების მშენებლობაზე



ნავთმზიდი გემი ბათომის ნავთსადგურში

ჟად მან წერილი ამხანაგებს აჩვენა. და სოფელში გავრცელდა ხმა, რომ მოხუცი, რომელიც ბრიყვად იყო მიჩნეული, გლეხების ემისარი და ლენინის მეგობარი ყოფილა.

მოხუცის საფლავზე გაჩნდა წითელი დროშა, უცნობის მიერ დასობილი.

ორი პატიმარი და „დამამტკიცებელი საბუთი" ბუქარესტში ჩაიყვანეს. აგენტებისათვის ძნელი არ იყო ლენინის ხელთნაწერის დადასტურება. საწყალი ილია სალავიოვი გადაასახლეს და მოხუცის ქალიშვილი თითქმის ნახევარი წელიწადი იჯდა ციხეში. აგენტების მიერ ძლიერი ძებნის შემდეგ, ჩვენი ორგანიზაციაც აღმოაჩინეს.

ანდრე გაბორ

# სასტამბო ხელოვნება და ქართული შრიფტის საკითხი

უდავოა, რომ სასტამბო ხელოვნებას თვალსაჩინო ადგილი უკავია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში, ხოლო სასტამბო შრიფტის საკითხი მეტად საყურადღებო საკითხია.

განსაკუთრებით მწვავეთ სდგას შრიფტის საკითხი ისეთი პატარა ერების ცხოვრებაში, რომლის ანბანი ძირითადათ განირჩევა კულტურულ კაცობრიობის ძირითად ანბანისაგან —ლათინური ანბანისაგან. ასეთ სიმწვავეს განვიცდით რასაკვირველია ჩვენც. ვიტყვით მეტსაც: მას შემდეგ რაც გატარდა ანბანის ლათინიზაცია მთელ რიგ აღმოსავლეთ ქვეყნებში, შრიფტის საკითხის სიმწვავე თითქმის მთლიანად საქართველოს დააწვა, ვინაიდან ჩვენს მეზობლებს —აზერბეიჯანს და ოსმალეთს, სრულიად თავისუფლად და ადვილად შეუძლიათ ისარგებლონ იმ მზა-მზარეული ნაყოფით, რომელიც შედეგია ევროპიული ერების ხანგრძლივი შრომისა და პროგრესისა შრიფტის გაუმჯობებისა და გადახალისების საქმეში.

არავისათვის სადაო არ არის ის გარემოება, რომ ქართული სასტამბო ხელოვნება ერთობ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება შრიფტის მხრივ.

კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ ვის როგორ ესმის ეს უმწეო მდგომარეობა.

ბევრი ამ უმწეო მდგომარობას ხედავს ქართული შრიფტის სახეების სიმცირეში ბევრს კიდევ არ აკმაყოფილებს არსებული შრიფტები, ასე ვთქვათ, სილამაზის მხრივ, ზოგს კიდევ —ადგილის ეკონომიის თვალსაზრისით და სხვა.

და რაკი ქართული შრიფტის ირგვლივ სხვადასხვაგვარი, ერთი მეორის საწინააღმდეგო შეხედულება არსებობს ამ საკითხთან ახლო მდგომ წრეებს და პიროვნებებს შორის, გამოსავალსაც სხვადასხვანაირს ასახელებენ შექმნილ მდგომარეობიდან.

ის ხალხი, რომელნიც ქართული შრიფტის სხვადასხვა სახეების სიმცირის შესახებ ჩივიან, ბუნებრივია, ცდილობენ შექმნან, გამოიგონონ შრიფტის ახალ-ახალი სახეები. ესენი უმთავრესად, თორიის ხალხია და სასტამბო ხელოვნებასთან პრაქტიკულად შორს დგანან.

ჩვენ ამათ მივაკუთვნებთ აგრეთვე მხატვარ შავარდნაძეს, რომლის ძიება და შრომა ქართული ახალი სახის შრიფტის შექმნის საქმეში მკითხველისათვის დიდი ხანია ცნობილია, და რომელმაც უკვე მოგვცა ეს სახე დიდი შრომის და მეცადინეობის შემდეგ.

და ჩვენც სწორედ ამ შრიფტის ახალ სახეზე და მის ღირსება - ნაკლოვანებებზე გვინდა შევაჩეროთ ამჟამად მკითხველის ყურადღება.

პირველი მოთხოვნილება ,პირველი საზომი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ამა თუ იმ შრიფტს და მათ შორის მხატვარ შავარდნაძის შრიფტსაც, რასაკვირველია, არის შრიფტის გავლენა, მისი მოქმედება მკითხველის მხედველობითი ორგანოზე.

სასტამბო ხელოვნების კარგი მცოდნე ამხ. შჩელკუნოვი ამის შესახებ შემდეგს ამბობს:

„ცხადია, მხედველობის ორგანოს ფიზიოლოგია წარმოადგენს იმპერატიულ პირობას ხელოვანისა —მესტამბე-ხელოსნისა და საწიგნო ხელოვნების თეორიის ჩამოყალიბებისათვის".

მეორე ადგილას იგივე შჩელკუნოვი ამბობს:

ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს უმთავრესი: წიგნის კომპოზიციის დროს მკითხველის მხედველობითი ორგანოს მუშაობის გაადვილება და მისი დროის ეკონომია—მთავარი ამოცანაა წიგნის ოსტატის.

რას იძლევა ამ მხრივ მხატვარ შავარდნაძის ახალი შრიფტი, რა გავლენას ახდენს ის მკითხველის თვალზე?:

ჩვენი შეხედულებით აქ უეჭველათ უარყოფით გავლენასთან გვაქვს საქმე. უდავოა,

პირ კაწრავს თვალს, ღლის მას უზომოთ და ანელებს მის მკითხველობითი და შეთვისებითი უნარს.

და პირდაპირ წარმოუდგენელია—რატომ არ გაუწია ანგარიში ამ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას მხატვარმა შავარდნაძემ და რატომ არ მიიღო ზომები იმ ტკივილების თავიდან ასაცილებლად თუ არა, მის შესანელებლად მაინც, რომელსაც აუცილებლად იწვევს მისი შრიფტის უაღრესად მის მიერ თითქოს საგანგებოდ დალესილი წვეტები.

აბა კარგად დაუპირდაპირეთ მკითხველო ერთმანეთს მხატვარ შავარდნაძის შრიფტი და ძველი ვენური და შემდეგ თქვენვე გამოიტანეთ დასკვნა.

მეორე მიზანი, რომელიც დასახული ჰქონია მხატვარ შავარდნაძეს —ეს არის ეკონომია. მართლაც, არსებული შრიფტების შეფასებას თუ მოვახდენთ ჩვენ ეკონომიის თვალსაზრისით, ჩვენთვის ცხადზე ცხადესი იქნება, რომ ქართული შრიფტები ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძლებენ.

შევარდნაძის ახალ შრიფტს ეკონომიის თვალსაზრისით უეჭველად აქვს დიდი უპირატესობა, თუ გინდ ვენურ —კორპუსთან შედარებითაც კი. მაგალითად, ერთი და იგივე ტექსტი, შავარდნაძის შრიფტით აწყობილი იჭერს ერთ გვერდს, ვენური კორპუსით კი—ერთ გვერდსა და 7 სტრიქონს. ე. ი. თითოეულ სასტამბო ფორმაზე ჩვენ ვიღებთ ეკონომიას 112 სტრიქონს, ანუ თითქმის 3 გვერდს. ამ მხრივ ვიმეორებთ, მხატვარ შავარდნაძეს ცდა სავსებით არის გამართლებული.

მაგრამ როდესაც ჩვენ ეკონომიის საკითხს უდგებით გადასაჭრელად, მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე დროის ეკონომია, ე. ი. —უნდა გამოვარკვიოთ შევარდნაძის შრიფტის წყობის სიადვილე.

ეტყობა, მხ. შევარდნაძე ცდილა, რომ ანბანის ერთ და იმავე ზომის გამოსულიყო. ზოგიერთი ასოს გამოკლებით ესეც არის

მეორე რამდენად არის ეს მიზანშეწონილი?

ზოგიერთი „მცოდნე" ამ ტეხნიკურ საკითხს მეტისმეტად მექანიკურად სჭრის:

— რაკი წყობის დროს ასოთამწყობი შეცდომებს უშვებს, ერთ ასოს მაგიერ მეორე ასოს აწყობს (მაგ. ხელის მაგიერ სელის აწყობს), ცხადია, ასოების ერთნაირი ზომა აადვილებს აწყობილის გასწორების საქმესო.

ნება გვიბოძეთ არ დავეთანხმოთ მათ საკითხის ასე მექანიკურად გადაჭრაში და აი რატომ.

ვინც იცნობს წყობის პროცესს (და პროცესი უფრო საყურადღებოა ვინემ შეცდომების სწორების პროცესი) მან ისიც კარგად იცის, თუ როგორი სისწრაფით ჰკრებს ასოთ ამწყობი უჯრედებიდან ასოებს. ეს სისწრაფე საშუალოდ უდრის 8-10.000 ასოს სამუშაო დღის განმავლობაში. და ამას ასოთამწყობი აღწევს, სხვათა შორის თავისი თითების შეხებითი გრძნობიერების უმწვერვალესი განვითარების შემწეობითაც.

ცხადია, ასოთამწყობი რომ ყველა ამოღებულ ასოს ამოწმებდეს —მართლა ამოიღო მან ის ასო, რომელიც უნდა ამოეღო თუ სხვა რომელიმე გზააბნეული ასო მოხვდა ხელში, მაშინ მისი შრომის ნაყოფიერებაც უცილებლად ნაკლები იქნებოდა. მაგრამ ამწყობი ასე როდი იქცევა. ის, იღებს თუ არა ასოს თითებში, უმალვე ხვდება თუ რომელი ასო აიღო. მაგალითად, იშვიათად ასოთამწყობი ა-ს მაგიერ ლ-ს ან და დ-ს ჩადებს „ვერსტატში", თუმცა ამ ასოების არევა ერთმანეთში უჯრედებში ხშირი მოვლენაა. ამას ის არკვევს იმის გამო, რომ ა, ლ და დ თავისი მოცულობით და სიმძიმით არსებითად განირჩევა ერთმანეთისაგან.

ასოების ერთნაირი ზომის გამო კი მათი გარჩევა შეხებითი ორგანოების—ამ შემთხვევაში თითების საშუალებით, შეუძლებელი იქნება და აქედან მივიღებთ უარყო-

ასოთ-ამწყობი იძულებული იქნება თვითონ ჩახედოს ყველა ასოს და მით შეანელოს აწყოს.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, თუმც მხატვარ შევარდნაძის ცდას და ამ ცდის შედეგს—ქართული შრიფტის ახალ სახეს—ვთვლით დიდ საყურადღებო მოვლენათ, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია გავიზიაროთ საქ. პოლიგრაფტრესტის, მეტი რომ არა ვთქვათ, აჩქარებული დასკვნა ხსენებული შრიფტის შესახებ: „ასოს მხატვრული ჩამოყალიბება და კითხვის გაადვილება თვით ლაღადებს თავისი უპირატესობის შესახებ",

საქ. პოლიგრაფტრესტის სპეცებს უნდა მოვახსენოთ შემდეგი:

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ციფრები, რომელიც ახლავს თან შევარდნაძის შრიფტს, ისე უხდება და შეეფერება ამ შრიფტის ბუნებას, როგორც „ძროხას უნაგირი".

ამხ. შევარდნაძის შრიფტი ჯერ კიდევ დიდ დამუშავებას, შესწორებას და შეფერებას საჭიროებს. და რაც მეტ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში სასტამბო ხელოვნების პრაქტიკული წარმომადგენლები, ასოთ-ამწყობები, კორექტორები, მბეჭდავები და სხვა, ვგონებ მით უკეთესი იქნება თვით ამ ახალი შრიფტისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ათიოდე წლის წინეთ ქართული შრიფტის საკითხი გაცილებით უკეთ გადასჭრა სასტამბო ხელოვნების პრაქტიკულმა მუშაკმა—უბრალო ასოთ-ამწყობმა ი. მჭედლიშვილმა*), ვინემ ათეულმა თეორეტიკოსებმა, რომელნიც დიდი ხანია ქართული შრიფტის ახალი სახეების მოცემის ცდას ახდენენ.

ვფიქრობთ, რომ სატექსტო შრიფტის დარგში იმ „უხერხულობათა და უმწეო მდგომარეობის" თავიდან აშორება, რომლის შესახებ ასე ხმამაღლა ლაპარაკობენ ქართული ბეჭდვითი სიტყვის მუშაკნი, შედარებით მოკლე გზითა და ადვილათ არის შესაძლებელი, თუ რასაკვირველია, მხედველობაში იქნება მიღებული ბეჭდვითი საქმის პრაქტიკულ მუშაკთა პრაქტიკული და რეალური მითითებანი.

რაც შეეხება სასათაურო შრიფტს (ТИТУЛЬНЫЙ ШРИФТ), უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით თითქოს კიდევ უფრო მეტ სიძნელეებთან გვაქვს საქმე, ვინემ სატექსტო შრიფტის დარგში. გამომშვებები, რედაქტორები და ყველა ისინი, ვინც, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელობენ ჩვენს სასტამბო ხელოვნებას—ბეჭდვითი საქმეს ჩვენში, ერთხმად აღნიშნავენ, რომ არსებულ სასათაურო შრიფტების სიმცირის გამო პირდაპირ ხელფეხშებორკილნი არიან და არა აქვთ საშუალება რაიმე ღირებულებას, რაიმე ესტეტიურ ეფექტს მიაღწიონ.

და იწყებენ იმავე ისტორიის თავიდან გამეორებას, რომელიც არა ერთხელ გვსმენია ჩვენ სატექსტო შრიფტების შესახებ. იწყებენ შრიფტების ახალი სახეების ძებნას, ახალი შრიფტების გამოგონებას, და ვინაიდან ეს საქმე—შრიფტის გამოგონება—არც ისე ადვილი საქმეა, როგორც პირველად გვეჩვენება ხოლმე, ხოლო დიდი და ძნელი საქმის კეთებას ჩვეულნი არ არიან ჩვენი ბეჭდვითი საქმის ხელოვანნი, მათი ოცნება. უმეტეს შემთხვევაში ოცნებათ რჩება ანდა მათი ახლად გამოგონებული შრიფტი ვერ ახდენს თვალსაჩინო გავლენას სასტამბო ხელოვნებაში.

ჩვენი აზრით, სასათაურო შრიფტის მხრივაც არ არის ჩვენი მდგომარეობა იმდენათ უიმედო, როგორც ზოგიერთ სასტამბო საქმის თეორეტიკოსს ჰგონია.

ჩვენ მოგვეპოება საკმაოდ მრავალი სახის, ლამაზი და მოხდენილი შრიფტი, რო-

---

*) ასოთ-ამწყობმა ი. მჭედლიშვილმა ქართული ვენური, 12 პუნქტიანი შრიფტი ჩამოასხა 10 პუნქტზე, რის შედეგადაც მივიღეთ დღევანდელი ვენური კორპუსი და



ა.-კ. ენ. ინს. სტუდენტები საწ. პრაქტიკაზე ამხ. სუხიშვილის სახ. ქარხანაში

მელთა საზრიანი და სათანადო გამოყენებით შესაძლებელია სათანადო ეფექტს მივაღწიოთ. ავიღოთ, თუ გინდა ჩვენი რგვალი 16, მორგვალო 20 და შევადაროთ ის ლათინური მოდემის შრიფტებში ყველაზე უფრო სახელგანთქმულ ზეცესიონს. რით ჩამოუვარდება ზემოდნაჩვენები ქართული შრიფტი აღნიშნულ ზეცისიონს? მოხდენილობით, მოცულობით?

— არავითარ შემთხვევაში და არაფრით.

— მაშ, რატომ გამოდის ჩვენ მიერ შესრულებული სასტამბო საქმე ასე უხეირო, უშნო და ულამაზო?

ჩვენის აზრით, აქ ქართული სასათაურო სხვადასხვა სტილის—სიმცირე იმდენად არაფერ შუაშია; აქ ჩვენ ხელს გვიცარავს უპირველეს ყოვლისა, არსებული სახის შრიფტის სხვადასხვა ზომის უქონლობამ ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ—სრული გარნიტურის უქონლობა. მაგალითად, რომ მოგვეპოებოდეს რგვალი 16-ის შრიფტის 12, 20, 24, 32, 48 პუნქტიანი, ზომა ჩვენ შეგვეძლო მოგვეცა ნაბეჭდი ნაწარმოების მთლიანი სახე, რაც უმთავრესია. ასევე ითქმის ჩვენი მორგვალო 20 პუნქტიანისა და სხვა შრიფტების შესახებაც. სამწუხაროდ, საკითხის ამ ყველაზე უფრო საყურადღებო მხარეს (და მასთან ერთად, შედარებით ადვილად გადასაჭრელს) გვერდს უქცევენ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ქურუმები და ოცნების სივრცეში დანავარდობენ —ახალ-ახალი სახეების შექმნაზე გველაპარაკებიან იმ დროს, როდესაც უკვე არსებული სახეების სათანადოთ გამოყენების შნოსა და უნარს მოკლებულნი ვართ.

ვიმეორებ, ჩვენ რომ ახალი შრიფტის გამოგონებას თავი დავანებოთ და ვიზრუნოთ არსებული შრიფტების სრული გარნიტურის შექმნაზე, გარწმუნებთ, ეს გაცილებით საიმედო, რეალური საქმე იქნება და სასარგებლოც.

მოვუსმინოთ ამ საკითხის შესახებ ცნობილი ვებერის სიტყვებს: „ოთხს სრულ გარნიტურას მეტი ღირებულება აქვს, ვინემ ... რვა არა სრულ გარნიტურას".

წიგნის ხელოვნების წესების მცოდნენი გვასწავლის, რომ: „უკეთეს სტამბად ჩაითვლება არა ის, რომელშიც ბევრი სხვადასხვა სახის შრიფტი მოიპოება, არამედ ის, რომელშიც თუმცა რამდენიმე სახის შრიფტი, მაგრამ მთლიანი გარნიტურა მოიპოვებ".

სამწუხაროდ, ჩვენში დავიწყებულია წიგნის ბეჭდვის ყველა წესები და ჩვენი ბეჭდვითი საქმის ქურუმები ისე აკეთებენ თავიანთ საქმეს, როგორც მოეპრიანებათ. აქედან წარმოსდგება ქაოსი ჩვენს ბეჭდვითი ხელოვნებაში, რომელიც წინსვლის მაგიერ უკან, ექვთიმე ხელაძის დროისკენ გვეწევა ორივე ხელებით.

და უფრო საკვირველი და სავალალო ის არის, რომ ამას არავინ აქცევს ჯეროვან ყურადღებას, არავინ ფიქრობს ჩვენი ბეჭდვითი საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად და თუ ფიქრობს — ყოვლად მიუღებელ და მავნე მეთოდებითა და საშუალებებით უნდათ საქმეს უშველონ, რადგან ამ საქმეს ისეთი ხალხი კიდებს ხელს, რომელნიც არ იცნობენ სასტამბო საქმის განვითარების ისტორიას, არ იცნობენ სასტამბო საქმის მიღწევებს და ამიტომ წყვდიადში დაეხეტებიან.

მაინც, ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი ბეჭდვითი საქმის საჭირბოროტო საკითხების მოწესრიგებას, რომელი ორგანო, რომელი დაწესებულება უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ საქმეს?

ვფიქრობთ, რომ ჩვენი პოლიგრაფიული სკოლაა ამ საქმის გადასაჭრელად მოწოდებული. მის გარშემო უნდა გაერთიანდეს ბეჭდვითი ხელოვნების ყველა თეორეტიული და პრაქტიკული ძალები და ერთად დასძლიონ ყველა ის სიძნელეები, რომლებიც ჩვენ ბეჭდვითი საქმის განვითარების გზაზე გვხვდებიან.

ე. ტ.

რას წარმოადგენს სამეურნეო პოლიტიკის ასეთი პროგრამა. ლენინი გვიპასუხებს ეს სოციალიზმის უშუალოდ „შემოღება" კი არაა, არამედ მხოლოდ მისკენ გადადგმული ნაბიჯია იმპერიალისტური ომისაგან გამოწვეული გაპარტახებისაგან სხვა გამოსავალი არა არის რა, გარდა სოციალიზმისადმი მიახლოვებისა, გარდა საალრიცხვო-საკონტროლო ხასიათის ღონისძიებათა რევოლიუციონური სისტემისა.

ახალი, შევარდნაძის შრიფტი

რას წარმოადგენს სამეურნეო პოლიტიკის ასეთი პროგრამა? ლენინი გვიპასუხებს ეს სოციალიზმის უშუალოდ „შემოღება" კი არაა, არამედ მხოლოდ მისკენ გადადგმული ნაბიჯია. იმპერიალისტური ომისაგან გამოწვეული გაპარტახებისაგან სხვა გამოსავალი არა არის რა, გარდა სოციალიზმისადმი მიახლოვებისა, გარდა საალრიცხვო-საკონტროლო ხასიათის ღონისძიებათა რევოლიუციონური სისტემისა.

ძველი ვენური შრიფტი























## ბოლშევიკური მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

სურათზე: 1) სათეს მანქანის აწყობა აბაშის სატრაქტ. სადგ., 2) ტრაქტორის გამოცდა, 3) ჯიშიან თესლის გადარჩევა საქ. მიწსახკომში, 4) სას.-სამ. იარაღების შეკეთება სამეგრელოში, 5) თბილისში მიღებული გუთნები. 6) ფარცხის შეკეთება ნესაკოვოში (აბაშის რაიონი), 7) ხვნა ტრაქტორით (კახპი), 8) სათეს მანქანის მომზადება პატრიკეთის კოლმეურნეობაში, 9) ტრაქტორის აწყობა საქ. მიწსახკომის სახელოსნოებში, 10) მარტყოფელი კოლმეურნე ტრაქტორზე.

# მავნებელ მენშევიკების გასამართლება

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევოლუციონურ პროლეტარიატის სამსჯავროს წინაშე კონტრრევოლუციონურ მენშევიკების გასამართლების პირველი დღე. სურათზე —სასამართლოს შემადგენლობა.

მავნებელ მენშევიკების ც. კ.-ის „საკავშირო ბიუროს" გასამართლება დამთავრდა. სასამართლომ ისეთი განაჩენი გამოუტანა გამძვინვარებულ მავნებლებს, როგორსაც მოითხოვდა რევოლუციონური პროლეტარიატი. ეს არის რევოლუციის და ისტორიის განაჩენი რუსეთის და საერთაშორისო მენშევიზმზე და აგრეთვე გამცემელ სოციალ-ფაშისტების მეორე ინტერნაციონალზე.

იქ შეერთდნენ შინაური და საერთაშორისო კონტრ-რევოლუცია. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს ფართო სოციალური იერიშები მიაქვს კაპიტალიზმის ნაშთებზე, შეურიგებელ კლასიურ ბრძოლით ამტკიცებს ლენინის ხაზის სისწორეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ასაშენებლად, იმ ხაზის სისწორეს, რომელიც პარტიამ დაიცვა ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ყოველგვარ ოპორტუნისტებთან და მათ აკან-ჩავანებთან ბრძოლაში. ხუთწლედის მესამე წელის ამოცანების შესრულებით მტკიცე საძირკველი ეყრება სოციალისტურ ეკონომიკას და სოფლის მეურნეობაში საკითხი: „ვინ ვის", გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოდ, რაც მრეწველობაში უკვე დიდი ხანია გადაწყდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ნაშთები —პირველ ყოვლისა კულაკობა და მათი იდეოლოგები—ვეღარ დააყენებენ საკითხს საკუთარ ძალღონით საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. საკითხი „ვინ ვის", ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმის შორის საბჭოთა კავშირის ფარგალს სცილდება და ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო არენაზე. ამიტომ ყოველი ის, ვინც კი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობს შეთქმულებას, იგი გამოდის იმპერიალიზმის მოსყიდულ აგენტად. ეს დაემართა „სამრეწველო პარტიას", ასევე დაემართა მის მოკავშირე კონდრატიევის მიმდევრებს და მენშევიკებს.

მენშევიკების გასამართლებაში განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ გარეშე ძალის სახით ჩარეული იყო არა მარტო იმპერიალიზმი („სავაჭრო პარტიის" საშუალებით), არამედ მისი კონტრ-რევოლუციონური აგენტურა მუშათა კლასში—სოციალ-ფაშისტური მეორე ინტერნაციონალი.

„მოკავშირე ბიუროს" წარმდგენილი ჰქონდა ხუთი მომაკვდინებელი და მძიმე ბრალდება: ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტურ რესტავრაციის მოხდენა. ე. ი. პროლეტარულ დიქტატურის დამხობა და მშრომელი მასისშების მემამულეების, კაპიტალისტების და კულაკების უღელში; კავშირის დაჭერა ყველა კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციებთან; სისტემატიურ მავნებლობის ფართოდ გაშლა; ინტერვენციის მომზადება უცხოელ ჯარებისთვის, რის გამო არ უნდა მორიდებოდნენ არც თეთრს ტერორს და არც რომელიმე კუთხის ოკუპაციას. ეს არის საქვეყნო რევოლუციის საქმისადმი ყოვლად საზიზღარი ღალატი და საქვეყნო პროლეტარიატის გამცემლობა და გამყიდველობა.

ამ გასამართლებამ დაარწმუნა კაპიტალისტურ ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული მუშები, რომ არ უნდა დაუჯერონ თავიანთ ბელადების ჭორებს.



მენშევიკების კონტრრევოლუციონური ჯგუფი პროლეტარულ სასამართლოს წი-ნაშე